გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N18 (9198) 30 ივნისი. 2016 წელი ფასი 50 თეთრი

## ხიდი პეტერბურგული მოგონებებით





3

2

## გიორგი კახიანის ჩართულობით პრობლემა მოიხსნა

## შეხვედრა მესამე და მეოთხე სექტორის აქტიურობით

## „წარმომადგენლობა არ არის ისე, როგორიც უნდა იყოს"



2

## მხარდაჭერა დასჯის ნაცვლად

5

11

## როგორ დავიცვათ თავი სიცხისგან





## „მუნიციპალიტეტებს შორის პირველი ადგილი" _ სამტრედიელი ინტელექტუალთა მორიგი მიღწევა

# გიორგი კახიანის ჩართულობით პრობლემა მოიხსნა

ნინო ნანიტაშვილი

17 წელია, სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოსახლეობას საკუთრების დაკანონებასთან დაკავშირებით მთელი რიგი პრობლემები გააჩნია, რაც 1999 წლის 28 დეკემბერს, ე.წ. ძველი სასტუმროს დაწვას უკავშირდება. შეგახსენებთ, რომ იმ დროს შენობაში გაჩენილმა ხანძარმა სხვა დაწესებულებასთან ერთად ნოტარიუსი, ტექნიკური აღრიცხვის ბიურო და არქივი გაანადგურა. ამდენად, ვისაც ხელთ არ გააჩნდა ქონების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ჰაერში გამოკიდებული დარჩა.

სამტრედიელები ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარებას წლებია, ითხოვენ. მოგვიანებით გაირკვა, რომ მსგავს სიტუაციაში ფოთელი მოსახლეობაც იყო.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის წევრმა, გიორგი კახიანმა სამტრედიელების პრობლემა საკანონმდებლო ორგანოში გააჟღერა.

მან საქართველოს მთავრობას მიმართა ინიციატივით, დადგენილებაში, რომელიც აწესრიგებს არაპრივატიზებულ ბინებზე საკუთრების გადაცემის საკითხს, შეტანილი ყოფილიყო ცვლილება. სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის ასევე დადგენილიყო საგამონაკლისო წესი, რომლის მიხედვითაც იმ დოკუმენტაციის ჩამონათვალის წარდგენის შემდეგ გამგეობას ექნებოდა შესაძლებლობა, არაპრივატიზებული ბინა კანონიერი მოსარგებლისათვის საკუთრებაში გადაეცა.

გიორგი კახიანმა შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფი ასევე თანამშრომლობდა სამტრედიის მუნიციპალიტეტთან. საბოლოო ჯამში კი შემუშავდა დადგენილების პროექტი, რომელზეც ეკონომიკისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროებთან გაგრძელდა მუშაობა.

ზემოაღნიშნული პროცესი 7-8 თვე გაგრძელდა. როდესაც ყველა უწყების მხრიდან რეგულაციების შემუშავების თაობაზე იქნა თანხმობა მიღებული, პროექტი წარედგინა საქართველოს მთავრობას, რომელმაც იგი დადგენილების სახით მიიღო.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის დადგენილებაში შეტანილი იქნა შემდეგი ცვლილება:

პირველ მუხლს დაემატა 1´ და 1² პუნქტები:

"1´. ეს წესი აგრეთვე ადგენს სამტრედიისა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მდებარე იმ საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის სპეციალურ საფუძვლებს, რომელთა შესახებ დოკუმენტაცია არ არის დაცული შესაბამისი მუნიციპალიტეტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ _ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ _ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სსიპ _ საქართველოს ეროვნული არქივისა და სსიპ _ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის არქივებში.

1². ამ მუხლის 1´ პუნქტით გათვალისწინებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემისას გამოიყენება ამ წესით დადგენილი ნორმები, თუ ამავე წესის 5´ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული."

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ამ წესის პირველი მუხლის 1´ პუნქტით გათვალისწინებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ფიზიკური პირისთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის საკითხის განხილვის საფუძველია დაინტერესებული პირის შესაბამისი წერილობითი განცხადება.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოში წარდგენილ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საკუთრებაში გადასაცემი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის შესახებ უფლების დამდგენი დოკუმენტაცია არ არის დაცული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვთარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ _ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ _ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სსიპ _ საქართველოს ეროვნული არქივისა და სსიპ _ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის არქივებში;

საკუთრებაში გადასაცემი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობით 2007 წლის 2 თებერვლამდე სარგებლობის ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასეთად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა არანაკლებ 2/3-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც დადასტურებული იქნება საკუთრებაში გადასაცემი ფართობით კანონიერად სარგებლობის ფაქტი, ხოლო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში _ ამავე მრავალბინიან სახლში მცხოვრები არანაკლებ 2 კანონიერი მოსარგებლის ნოტარიულად დამოწმებული დასტური, რომლებსაც კანონიერი სარგებლობა უდგინდებათ ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის საფუძველზე;



ინფორმაცია საკუთრებაში გადასაცემი საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრისა და ტექნიკური აღრიცხვის არქივიდან;

ამ დადგენილების ამოქმედებამდე შედგენილი/გაცემული წყლის, ბუნებრივი აირის, ელექტროენერგიის ან ტელეფონის აბონენტად აღრიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და გადახდის ქვითარი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

საკუთრებაში გადასაცემი ფართობის აზომვითი ნახაზი;

განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ხოლო წარმომადგენლობის შემთხვევაში, დამატებით, წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

სამკვიდრო მოწმობა და მემკვიდრის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, თუ განცხადების წარდგენის მომენტისათვის საკუთრებაში გადასაცემი ფართობის კანონიერი მოსარგებლე გარდაცვლილია.

განმცხადებელი უფლებამოსილია, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს წარუდგინოს სხვა ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს საკითხის გადაწყვეტას.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ კანონიერი მოსარგებლისათვის საკუთრებაში გადასაცემი ფართობის მდებარეობის იდენტიფიცირების საფუძველია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ _ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო რეესტრში გეოგრაფიული ობიექტის დამისამართების მიზნებისთვის შექმნილი/დამუშავებული ინფორმაცია.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, ადგილზე გადაამოწმოს განმცხადებლის მიერ წარდგენილი ინფორმაცია და შეადგინოს შესაბამისი ოქმი.

თუ წარდგენილი დოკუმენტაციით დადგინდება რამდენიმე კანონიერი მოსარგებლის არსებობა, მათ ფართობი შეიძლება გადაეცეთ საერთო საკუთრებაში, ყველა კანონიერი მოსარგებლის მიერ წერილობით გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე. კანონიერი მოსარგებლე უფლებამოსილია, ერთი ან რამდენიმე კანონიერი მოსარგებლის სასარგებლოდ დათმოს საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის უფლება. მოთხოვნის დათმობა მოწმდება ნოტარიულად.

ამ მუხლით დადგენილი წესი არ გამოიყენება, თუ დადგინდება საკუთრების ან და ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კანონიერი სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობა.

2021 წლის პირველი იანვრიდან კანონიერი მოსარგებლე კარგავს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის, ამ მუხლის შესაბამისად, უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის მოთხოვნის უფლებას. აღნიშნული თარიღის შემდეგ საკუთრების უფლების მოპოვება შესაძლებელია ზოგადი წესის შესაბამისად.

სამტრედიის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის, გიორგი კახიანის ბიუროს ხელმძღვანელი, თინათინ ხარძიანი სამტრედიის მუნიციპალიტეტისთვის თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში აქილევსის ქუსლად ქცეული პრობლემის მოგვარებას უშუალოდ გიორგი კახიანის დამსახურებად მიიჩნევს: "ამ პრობლემის მოგვარებაში ლომის წილი მიუძღვის საქართველოს პარლამენტის წევრს, გიორგი კახიანს. თავის დროზე მოსახლეობის პრობლემა გულთან მიიტანა სამტრედიის გამგებელმა, ვალერიანე ფოცხვერიამაც და უშუალოდ გიორგი კახიანის ჩართულობით პრობლემა მოიხსნა. ამიერიდან კანონიერ მოსარგებლეს ექნება შესაძლებლობა, საკუთრებაში გადაეცეს კანონიერ სარგებლობაში არსებული არაპრივატიზებული ბინა. მინდა, გავამახვილო ყურადღება, რომ აღნიშნული დადგენილების მიხედვით ზოგადად კანონიერ სარგებლობაში არსებული არაპრივატიზებული ბინის საკუთრებაში გადაცემა მუნიციპალიტეტის გამგეობის მხრიდან ხორციელდება უსასყიდლოდ ".

# "წარმომადგენლობა არ არის ისე, როგორც უნდა იყოს"

ნინო ნანიტაშვილი

ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე ვალერიანე ფოცხვერიამ ქალაქსა და სოფლებში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლების ყურადღება ერთი განცხადებით მიიპყრო: "კონტაქტი იქონიეთ კულტურის სამსახურის უფროსთან, ნატალია მანჯგალაძესთან, შეიმუშავეთ ერთობლივი გეგმა. ივლისი დავტვირთოთ კულტურული ღონისძიებებით. დავთქვათ დრო და ადგილი, როდის და რომელ სოფელში მოვაწყოთ ღონისძიება, სადაც მოვიწვევთ ადგილობრივ მოსახლეობას, სტუმრებს ქალაქიდან და საზეიმო ვითარებაში დავაჯილდოვებთ სოფლის ღირსეულ, ღვაწლმოსილ ადამიანებს. ეს იდეა შარშანაც მქონდა. ვეცადოთ, წელს მაინც განვახორციელოთ. იქნებ, მომავალში ამან ცალკეულ სოფლებში დღესასწაულის ტრადიციული სახეც მიიღოს. დავიწყოთ დიდი სოფლებიდან, საღამო გავმართოთ, ჩავრთოთ ახალგაზრდობა საკონცერტო ნომრებით".

შეთანხმდნენ, რომ პირველად ლენტი დიდ ჯიხაიში გაიჭრება. მუნიციპალიტეტის გამგებელს არ დაუმალავს, რომ ღონისძიებაზე ფულადი ჯილდოებიც იქნება დაწესებული.

პოზიტიურ დასაწყისს ვალერიანე ფოცხვერიამ ერთი უსიამოვნო ამბავი მოაყოლა: რომელიღაც სოფელში საქართველოს პარლამენტის წევრისთვის ადგილობრივ მკვიდრს უსაყვედურებია, მხოლოდ არჩევნების წინ გვნახულობთო: "ეს ნიშნავს იმას, რომ ჩემი წარმომადგენლები სოფლებში მოსახლეობასთან არ არიან ახლოს. დეპუტატი, შეიძლება, ყველა სოფელში ვერ მივიდეს, მაგრამ თქვენ უნდა შეხვიდეთ ყველა ოჯახში და იქ ჩვენი სათქმელი მიიტანოთ. ვხედავ, რომ წარმომადგენლობა არ არის ისე დატვირთული, როგორც უნდა იყოს. რისთვის გამოიყო და დაემატა შტატები სოფლებში წარმომადგენლობას? ვთვლი, რომ ამ მხრივ ნორმალური მუშაობა არ არის. ეს სოფელსაც ეხება და ქალაქსაც. ზეპირად უნდა იცოდეთ, თქვენს სამოქმედო ტერიტორიაზე ვის უჭირს და ვის ულხინს".

27 ივნისის მდგომარეობით ტენდერი არ შედგა: სამტრედიის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სამუშაოების (არხები, ბოგირები, მოხრეშვა) საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვაზე არც ერთმა პრეტენდენტმა მონაწილეობა არ მიიღო. ტენდერი ხელმეორედ 27 ივნისს გამოცხადდა. ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე ამ ინფორმაციით წარსდგა შესყიდვებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილების უფროსი. ირაკლი სულავას განმარტებით, ტენდერი გამოცხადებული იყო სამუშაოთა ღირებულების 1,5 პროცენტზე. ხოლო განმეორებით ტენდერი გამოცხადდა ღირებულების 2,0 პროცენტზე. შეგახსენებთ, რომ ზემოთ მითითებული სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 100 000 ლარს და იგი ადგილობრივი ბიუჯეტის თანხის ფარგლებში ფინანსდება.



# ხიდი პეტერბურგული მოგონებებით

თეა ბაბუნაშვილი

***სამხარეო საკონსულტაციო საბჭო, რომელიც ყოველ სამ თვეში ერთხელ მართავს შეხვედრებს, იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიასა და სოციალ-ეკონომიკურ საკითხებზე, ამჯერად სამტრედიაში შეიკრიბა. იმერეთის გუბერნატორ გივი ჭიჭინაძესთან, ვიცე-გუბერნატორებთან, გიორგი ჭილვაიასა და იოსებ ხახალეიშვილთან, გუბერნატორის პირველ მოადგილე პაატა ნადირაძესთან ერთად, მუნიციპალიტეტს ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების მინისტრის მოადგილე გიორგი შეშელაშვილი და იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების გამგებლები სტუმრობდნენ. მათ ადგილობრივი ხელისუფლება გამგებელ ვალერი ფოცხვერიას ხელმძღვანელობით უწევდა მასპინძლობას. მაჟორიტარ დეპუტატ, გიორგი კახიანთან და საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ ჯამბურიასთან ერთად.***

***შეხვედრას ადგილობრივი გამგეობისა და საკრებულოს სხვა პასუხისმგებელი პირებიც ესწრებოდნენ. ე.წ. გასვლითი თათბირი, რომელიც ტრადიციულად ყოველ სამ თვეში მონაცვლეობით იმართება იმერეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, თავიდანვე კაბინეტურ რეჟიმში არ წარმართულა. დღე იმ ინფრასტრუქტურული პროექტების დათვალიერებით დაიწყო, სამტრედიაში ბოლო პერიოდში რომ განხორციელდა.***









თავდაპირველად სოფელ ჩხენიშში ჯერ ისევ მიმდინარე სამუშაოები მოინახულეს. აქ ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება, ივნისის აუტანელი სიცხის მიუხედავად, მაინც მიმდინარეობდა. ზოგადად, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 27 მიმართულებით 19 700 გრძივი მეტრის გზის საფარი დაიგება. ამისთვის კი 494 000 ლარი დაიხარჯება.

მერე ტოლების თემში გაზიფიცირების სამუშაოები დაათვალიერეს სტუმრებმა. მაღალმთიანი ზონის გაზიფიცირება, არა ბოლო ათწლეულების მანძილზე, დღემდე აქილევსის ქუსლად რჩებოდა. ამიტომ მოსახლეობის განსაკუთრებული კმაყოფილება, რა თქმა უნდა, გასაგები გახლდათ. თენგიზ გიორგაძის ოჯახში საკუთარი ხელით აანთეს გაზქურა გუბერნატორმა, მუნიციპალიტეტის გამგებელმა და მაჟორიტარმა. ოჯახის უფროსმა კი, სოფლის მოსახლეობის სახელით განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა ამ საშური საქმის გამო: ''სამოცდაათს გადავაბიჯე და ჯერ აქ ბუნებრივი აირი არ გვქონია, შეშას ვწვავდით. ტყე ხომ ნადგურდებოდა და ჩვენც ვწვალობდით. ეს მართლაც დიდი შეღავათია, არ არის სოფელში ოჯახი, მადლიერებას რომ არ გამოხატავდეს.'' აქვე გახდა ცნობილი, რომ საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ ბოლო პერიოდში სამტრედიაში 31 სოფლის გაზიფიცირებისთვის 222.7 კმ სიგრძის საშუალო და დაბალი წნევის გაზსადენის ასაგებად 5.2 მლნ. ლარი დახარჯა და 4 000-მდე აბონენტს ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა მისცა.

თავი ლენინგრადში მგონიაო, გაიხსენა ახლანდელი სანქტ-პეტერბურგი გუბერნატორის მოადგილე პაატა ნადირაძემ ბუღნარა-ტოლების დამაკავშირებელ ხიდზე, ახლად რეაბილიტირებული რომ ელოდა სტუმრებს. თანამედროვეობას შერწყმული ლამპიონები მის დიზაინს იმდენად ორიგინალურს ხდიდა, ნებისმიერი დიდი ქალაქი რომ არ დაიწუნებდა. ამიტომაც მომაგონდა პეტერბურგიო, _ პაატა ნადირაძემ. გამგებელმა ვალერი ფოცხვერიამ კი დასძინა, თუ ადიდდა, ''ხევისწყალა'' კრეისერსაც აიტანსო. მერე კი გუბერნატორს ის ადგილი დაანახა ხიდიდან, საიდანაც ნატანის ამოღებასაც, ცოტა ხნის წინ მოსახლეობის პროტესტი მოჰყა. აქვე აღნიშნა, რომ ჩინური კომპანია, რომელიც სამუშაოებს ასრულებს, მთლად სწორად არ იქცევა. რაც შეეხება ხიდს, სამტრედიელებისთვის ცნობილია, რომ სტიქია ყოველწლიურად აზიანებდა მას და ტოლების თემს დიდ პრობლემებს უქმნიდა. იყო საფრთხის საშიშროებაც. ამჯერად მისი სრული რეაბილიტაციისთვის 820 ათასი ლარი დაიხარჯა. თანხა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდმა გაიღო. აღდგენითი სამუშაოები შპს ''სახარიამ'' შეასრულა, რომელსაც დავით პაიჭაძე ხელმძღვანელობს.



ქართული სიმღერის დიდი ტრფიალი და თავად მომღერალი გუბერნატორი, ლამის აიყოლა სტუმრების დასახვედრად ტოლების სამუსიკო სკოლის აღსაზრდელების მოძახილმა. მათ მიერ შესრულებული ქართული ფოლკლორი ამ კეთილგანწყობილ დღეს განსაკუთრებით ქართულ დატვირთვას აძლევდა. დაინტერესდა კიდეც გუბერნატორი ამ სკოლით და იქვე მის დირექტორს, იური შანიძეს გაესაუბრა. ხიდზე განთავსებული ბანერები კიდევ ერთხელ შეახსენებდა ადგილობრივ მოსახლეობას და აცნობდა სტუმრებს, რა იყო რეაბილიტაციამდე ამ უკვე ულამაზესი ნაგებობის ადგილას. ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების მინისტრის მოადგილე თენგიზ შეშელაშვილი კი იმაზე საუბრობდა, რომ: ''სამწუხაროდ, სტიქიური მოვლენები ბოლო წლებში და არა მარტო ბოლო წლებში, ხშირად აზიანებს ინფრასტრუქტურას. ხშირ შემთხვევაში ბუნებასთან უძლურია ადამიანი, თუმცა ზარალის აღდგენა-გამოსწორება აუცილებელია. ასეც ხდება, შესაბამის სამუშაოებს რეგიონებში ყოველთვის ვახორციელებთ. ამ ხიდის შემთხვევაშიც ასეთი ვითარება გახლდათ და ჩვენს მიერ გამოყოფილი სახსრებით ძველი კი არ აღდგა, ფაქტობრივად, ახალი ხიდი გაკეთდა. როგორც ხედავთ, იგი ძალიან ლამაზია. რაც შეეხება გზებს, აქაც ბუნებრივია, ძირითადი წყარო რეგიონალური განვითარების ფონდია. მნიშვნელოვანია, რომ აღსადგენ გზებს თავად მოსახლეობა და ადგილობრივი ხელისუფლება ირჩევს რეგიონებში. აქცენტი ისეთ გზებზე კეთდება, ათწლეულების მანძილზე რომ არ მოწესრიგებულა, ან იმ ადგილებზე, არასდროს რომ არ ღირსებიათ გზა. ჯამში, როგორც რეგიონალური, ასევე მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 30 მილიონამდე ლარი მხოლოდ სამტრედიაში დაიხარჯება გზის საფარის მოსაწესრიგებლად.''

სანამ კომენტარს გააკეთებდა, იმერეთის გუბერნატორმა იქვე შეკრებილ ადგილობრივებს ჰკითხა, იყვნენ თუ არა კმაყოფილები, შემდეგ კი აღნიშნა: ''33 მეტრიანი ეს ხიდი, მდინარის ადიდების გამო, ბევრჯერ წაუღია წყალს და საშიშროების კერაც გამხდარა. იმედია, ამიერიდან ვერაფერს დააკლებს მას ადიდებული ''ხევისწყალა''. ხედავთ, რომ იგი ძალიან ლამაზიცაა და მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების თავშეყრის ადგილადაც იქცა.''

მაჟორიტარმა გიორგი კახიანმა მადლობა გადაუხადა შესაბამის სტრუქტურებს, რომ სამტრედიაში არაერთი საჭირო ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელეს. მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერი ფოცხვერია კი აღნიშნავდა, რომ: ''პირველ რიგში, მადლობა ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერისთვის. ყველა ინფრასტრუქტურული პროექტის დაგეგმვა-განხორციელებაში ადგილობრივი მაჟორიტარი გიორგი კახიანი და გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე ჩვენთან ერთად მონაწილეობენ. მადლობა მათ ამისთვის. რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს, კომუნისტების შემდეგ ისეთი მასშტაბური ხასიათი გზების დაგებას სამტრედიაში არ ჰქონია, როგორც ეს 2012 წლის შემდეგ მოხდა. ყველაზე მასშტაბურად მაინც გაზიფიცირების პროექტს ვთვლით. მუნიციპალიტეტის გაღმა ზონაში სამუშაოები ამ კუთხით მთლიანად დასრულებულია, მაღალმთიანი ზონის გაზიფიცირება ამჯერადაც მიმდინარეობს. ყველა ეს პროექტი კონტროლზე ვიცე-პრემიერ კახი კალაძეს ჰყავს აყვანილი.''

თავი განსაკუთრებით მოიწონეს ტოლებლებმაც და მუნიციპალიტეტის გამგებელმა იმ ახალი ხიდით, პეტერბურგი ბევრს რომ მოაგონა. მისი გახსნა იმ დღის მთავარი დატვირთვა გახლდათ. თუმცა, ხმამაღლა აღინიშნა, რომ ყველაფერი, რაც მუნიციპალიტეტში ბოლო პერიოდში გაკეთდა, მკვიდრად გაკეთდა და სტიქიასთან საბრძოლველადაც მზადაა და ეჭვით მომზირალთა ქილიკსაც გაუსწორდება.

დატვირთული დღის მეორე ნახევარში გამართულ თათბირზე საქმიანი საუბარი გაიმართა.

## საარჩევნო სუბიექტების საყურადღებოდ!

2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების პერიოდში ''სამტრედიის მაცნე'' იხელმძღვანელებს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლისა და 2015 წლის 15 აგვისტოს საქართველოს ეროვნული კომისიის დადგენილების შესაბამისად, არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე გაზეთის ყოველ ნომერში ისარგებლებენ ფასიანი და უფასო მომსახურებით.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთში გამოყოფილი ფასიანი და უფასო ფართის სიდიდე შეადგენს 2 გვერდს. თითოეულ სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში დაეთმობა გამოყოფილი ფართის ერთი მესამედი. მისი ღირებულება შეადგენს 200 ლარს.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

# "ნაციონალები" ოდესაში

ნინო ნანიტაშვილი





25 ივნისს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები, კერძოდ, პარტიის რაიონული ორგანიზაციისა და რეგიონალური ორგანიზაციების თავმჯდომარეები უკრაინის ქალაქ ოდესაში, უკრაინის დროით საღამოს 11 საათზე საქართველოს ექს-პრეზიდენტს შეხვდნენ.

შეხვედრის ინიციატორი პარტია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ასოცირებული თავმჯდომარე, მიხეილ სააკაშვილი გახლდათ. ლიდერები შეხვედრის წინასწარ დეტალებზე ჯერ კიდევ 10 დღით ადრე საქმის კურსში პარტიის ხელმძღვანელობამ ჩააყენა. საქართველოდან გამგზავრებულებმა წინასწარ იცოდნენ, რომ სააკაშვილთან აუდიენცია მომავალ არჩევნებს შეეხებოდა.

ვინც 26 ივნისს სოციალურ ქსელში ოდესაში გადაღებული ფოტოები ნახა, მისთვის ნათელი იყო, რომ 25-26 ივნისის შეხვედრებში სამტრედიიდან ემზარ შუბლაძე მონაწილეობდა.

"სამტრედიის მაცნე" ოდესიდან დაბრუნებულ პარტიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს დაუკავშირდა და შთაბეჭდილებების გაზიარება სთხოვა.

ემზარ შუბლაძე ოდესის შეხვედრას მოტივირებულს უწოდებს: "მიხეილ სააკაშვილს უშუალოდ იქ შევხვდით, სადაც მისთვის უკრაინის მთავრობას გამოყოფილი აქვს საცხოვრებელი ფართი. ბატონ მიხეილთან ერთად იქ იმყოფებოდნენ ლევან ვარშალომიძე, ნიკა მელია, ნუგზარ წიკლაური. შეხვედრა საკმაოდ თბილი იყო, მან სათითაოდ მოგვიკითხა, მადლობა გადაგვიხადა იმისთვის, რომ არჩევნებში წაგების მიუხედავად არ გავტყდით, არ დავშლილვართ, შევინარჩუნეთ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", როგორც მთავარი ოპოზიციური ძალა. მსგავსი ფაქტი საქართველოს ისტორიაში ჯერ არ მომხდარა.

ამის შემდეგ ერთობლივად შევიმუშავეთ 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის სტრატეგია, დავსახეთ გეგმები და განვეწყვეთ იმისთვის, რომ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ.

მიხეილ სააკაშვილმა კატეგორიულად და დარწმუნებით თქვა, რომ, მისი გამოცდილებიდან გამომდინარე, 2016 წლის არჩევნებს აუცილებლად მოვიგებთ. მისივე თქმით, ამის ყველანაირი წინაპირობა არსებობს. მან იქვე დაამატა, მიუხედავად იმისა, უკრაინაში დიდ საქმეს არის შეჭიდებული, არ მისცემს თავს უფლებას, როცა მის ქვეყანას სჭირდება, სამშობლოს გვერდით არ დაუდგეს; რისთვისაც მიღებული აქვს გადაწყვეტილება, ჩამოვიდეს საქართველოში.



ცალ-ცალკე გაიარა ყველა რეგიონი, ასევე მუნიციპალიტეტები, მათი საარჩევნო სტრატეგია. დაინტერესდა იმით, თუ რას ვთავაზობთ ამომრჩეველს. რეგიონების მიხედვით ნაწილმა წარუდგინა კანდიდატები, ნაწილს არ დაუსახელებია, რადგან ჯერჯერობით ისევ შერჩევის პროცესში ვიმყოფებით.

მიხეილ სააკაშვილმა ქართულ დელეგაციასთან სამახსოვრო ფოტოები გადაიღო, მოგვაცილა ავტობუსამდე და გამომგზავრებამდე ჩვენთან ერთად დარჩა."

# შეხვედრა მესამე და მეოთხე სექტორის აქტიურობით

თეა ბაბუნაშვილი



სამტრედიის საინფორმაციო ცენტრში თავშეყრილ ჟურნალისტებს, არასამთავრობოებსა და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს შორის საინტერესო დისკუსია გაიმართა. საკითხი, რომელიც განიხილეს, საზოგადოების ჩართულობას ეხებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში. მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლებისა და განვითარების თემა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი მენტალობის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. ამიტომ დისკუსია მხოლოდ დისკუსიისთვის არ გამართულა. მესამე და მეოთხე სექტორის ერთად ყოფნამ შეხვედრის მიმდინარეობა ერთიორად გაზარდა დროშიც და შინაარსობრივადაც და მას განსაკუთრებით საქმიანი ელფერი მისცა. როცა მენტალობას ხაზს ვუსვამთ, აუცილებლად აღსანიშნავია, ის, რაც საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა სოფიო კირთაძემ ხაზგასმით აღნიშნა: "მიუხედავად იმისა, რომ გაფრთხილებულნი იყვნენ ის ადამიანები, რომლებიც განსაკუთრებით დაინტერესებულნი უნდა ყოფილიყვნენ მსგავსი საკითხებით, ვხედავთ, რომ აქ ნაკლებად არიან წარმოდგენილნი. ამგვარი შეხვედრა რომელიმე ევროპულ ქვეყანაში რომ ყოფილიყო დაანონსებული, ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ როგორც საზოგადოების, ისე ხელისუფლებაში დასაქმებული პირების ჩართულობა გაცილებით დიდი იქნებოდა."

საუბარი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეწყობის მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესული ცვლილებების გათვალისწინებით ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის მნიშვნელოვან საკითხებს შეეხებოდა.

როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმის წარმომდგენელმა, მაკა ცერცვაძემ აღნიშნა: "ჩვენმა ორგანიზაციამ სხვადასხვა მუნიციპალიტეტებთან განახორციელა საინფორმაციო შეხვედრები. ამჯერად, ისინი ძირითადად დასახლების საერთო კრების ორგანიზებას შეეხებოდა, ორგანული კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების ფონზე. არაერთი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის მსგავსად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებისგანაც გამოიკვეთა მოსაზრება, რომ საკითხები რომლებიც დაკავშირებულია კანონში შესული ცვლილებების იმპლემენტაციასთან და გამოწვევებთან, ცოტა საძნელოა ამომრჩეველთან განსახორციელებლად. ჰქონდათ საკუთარი მოსაზრებები ამასთან დაკავშირებით. ჩვენი ორგანიზაცია ხელს შეუწყობს, რომ ეს საკითხი როგორც ტექნიკური, ისე საინფორმაციო თვალსაზრისით სამტრედიის ერთ-ერთ დასახლებაში წარმატებით გადაიჭრას." ეს კი ნიშნავს, რომ სამტრედიაში პირველად, მესამე სექტორის, კერძოდ, "ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების სააგენტო _ საქართველოს" დახმარებით, დასახლების საერთო კრება წარმატებით გაიმართება და მოსახლეობა დაინახავს, რომ მსგავსი შეკრებები არა მხოლოდ მათი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის, კეთილდღეობის საწინდარიც გახდება.

რაც შეეხება სტუმარ არასამთავრობო ორგანიზაციას, მისი სოლიდურობისთვის უნდა ითქვას, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლათფორმა ყველაზე დიდი კოალიციაა საქართველოში მესამე სექტორის ორგანიზაციებს შორის. იგი 149 ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს, ხუთი თემატური ჯგუფისგან შედგება. მისი ძირითადი მიზანი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გახლავთ ევროპული ინტეგრაციის პროცესების მიმართ. სამტრედიაში მოქმედი რეგიონული განვითარების რესურსცენტრისა და საინფორმაციო ცენტრის ინიცირებით და ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობით განხორციელებული პროექტები მათ ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელმა, სოფიო კირთაძემ გააცნო.

# ...არჩევნებმა რომ არ დაჩრდილოს

***ჯერ კიდევ გასული წლის მიწურულს დაანონსდა, რომ 2016 წელი "იუნესკოს" მიერ "ვეფხისტყაოსნის" წლადაა გამოცხადებული და გენიალური მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 850 წლისთავს ეძღვნება.***

ღმერთმა ქნას მეჩვენებოდეს, მაგრამ რატომღაც ქვეყანაში არ იგრძნობა შესაბამისი აღფრთოვანება, გამოცოცხლება. მსოფლიო ხომ პატივს მიაგებს ქართულ ნიჭს, გენს, აზროვნებას, ინტელექტს...

ნახევარი საუკუნის წინათ საქართველოში საერთო-სახალხო ღონისძიებები, რომლებიც რუსთაველის იუბილეს ეძღვნებოდა საერთო-სახალხო დღესასწაულს დაუგვირგვინებია.

იმ წლებში, როცა კომუნისტური მმართველობა იყო, საქართველოს მწერალთა კავშირის თავკაცს, პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ, ეფრემ მეორისთვის (სიდამონიძე) მიუმართავს თხოვნის შემცველი წინადადებით, რომ საპატრიარქოს განეხილა შოთა რუსთაველის წმინდანთა დასში ჩარიცხვის საკითხი.

მართალია, თხოვნა ვერ შესრულდა, თუმცა, ეს წინადადება, რომელიც პატრიოტულ დატვირთვას დღითიდღე იძენს, ნათელი მაგალითია იმისა, რომ ბატონმა ირაკლიმ, საბჭოთა პოეტმა გაბედა დაესვა საკითხი წმინდანად შეერაცხათ რუსთაველი.

დღეს, როცა კომუნისტები ხელს არავის არაფერში "უშლიან" ქვეყანაში (ვიმეორებთ) _ არაა თვალშისაცემი ამ კუთხით გამოხატული შემართება, აღფრთოვანება, სიხარული კანონიერი თავმოწონებისა.

სამაგიეროდ!! ქვეყანაში ყველაფერი პოლიტიზირებულია.

არჩევნები სხვა დროსაც ჩატარებულა.

ამ პოლიტიკურ მოვლენას შესაბამისი პროცედურები აქვს, კულტურულ ღონისძიებებს კი _ შესაბამისი.

ეს ისე, უბრალოდ ვთქვით, თუ არა ღმერთმა, ნუ ჰქნას საქართველოში პატივს არ სცემდნენ რუსთაველს, არ კითხულობდნენ "ვეფხისტყაოსანს".

ლევან ბაბუხადია

# მხარდაჭერა დასჯის ნაცვლად

ნათია ნაცვლიშვილი

***26 ივნისი ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის მსოფლიო დღეა. ამ თარიღს გამოეხმაურნენ და ქუჩაში მსვლელობა მოაწყვეს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა და მუნიციპალიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენლებმა. ისინი ქუჩაში არიგებდნენ ფლაერებს და მოსახლეობას ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვისაკენ მოუწოდებდნენ. მომავლის პარკში მოსწავლეებმა ნარკოტიკული საშუალებების დაწვის და განადგურების იმიტაციაც მოახდინეს.***

მათი ამ კამპანიის სულისკვეთება მუნიციპალიტეტის სათათბირო დარბაზში გაგრძელდა, სადაც 2012 წლიდან მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ''ახალი გზა'' (ხელმძღვანელი ნანა კოხრეიძე) ინტელიგენციასთან შეხვედრა გამართა, მის მიერ გაწეული მუშაობაც შეაჯამა და ახალი მოწოდებაც გააჟღერა. ''მხარდაჭერა დასჯის ნაცვლად'' ეს ადვოკაციის კამპანია, ამ არასამთავრობო ორგანიზაციის წევრთა თქმით, მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს ნარკოპოლიტიკის რეფორმას და შეცვალოს რეპრესიული პოლიტიკა და კანონები, რათა ხელი შეუწყოს ადამიანების ხელმისაწვდომობას სასიცოცხლო მნიშვნელობის სამკურნალო, სარეაბილიტაციო და პრევენციულ მომსახურებებზე.





ამ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ქუჩის ნარკოტესტირებას რეპრესიული პოლიტიკის ნაწილად მიიჩნევენ, რომლის ფარგლებშიც, ხორციელდება ადამიანების უკანონოდ და შერჩევითად ქუჩაში დაკავება და ნარკოლოგიურ ტესტირებაზე გადაყვანა. გადაჰყავთ ყველა ის ადამიანი, ვინც გამოიწვევს საფუძვლიან ეჭვს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებში. აღნიშნული პრაქტიკის განსახორციელებლად წლების მანძილზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან იხარჯება ათობით მილიონი ლარი, მაშინ, როდესაც ეს პრაქტიკა არაეფექტურია. მათ სტატისტიკაც მოიყვანეს და აღნიშნეს, რომ 2013-2014 წლებში ნარკოლოგიურ ტესტირებაზე წარდგენილ პირთა მხოლოდ 30%-ს დაუდგინდა ნარკოტიკების მოხმარება, ხოლო 70%-ის შემთხვევაში სამართალდამცავთა ეჭვი არ გამართლდა. ნესტორ მაისაძემ, ორგანიზაციის კონსულტანტმა ქუთაისში სულ ახლახან მომხდარი ამბავიც მოიყვანა ამ მავნე პრაქტიკის საილუსტრაციოდ და აღნიშნა, რომ მოქალაქეს, რომელსაც ნარკოტესტირება მოსთხოვეს, ვინაიდან მან იმ მომენტში ბიოლოგიურად ვერ შეძლო შარდის გამოყოფა, დაალევინეს შარდმდენი საშუალებები, რის გამოც მოქალაქის არტერიული წნევა დაეცა და იგი გარდაიცვალა, ამ კონკრეტულ ფაქტს არასამთავრობოთა პროტესტიც მოჰყვა.



ნანა კოხრეიძე: ''ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაცია ''ახალი გზა'' ეს არის ფსიქო-სოციალური რეაბლიტაციისა და კონსულტაციის ცენტრი. ვახორციელებთ პროექტებს, როგორიცაა ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლებისათვის აივ პრევენციული სერვისების მიწოდება. ამაში იგულისხმება, პირველ რიგში, ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება B, C ჰეპატიტზე, აივ ინფექციაზე, სქესობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე, ჩვენი ორგანიზაცია წარმოადგენს ზიანის შემცირების საქართველოს წევრ ორგანიზაციას. ჩვენ, რა თქმა უნდა, მივესალმებით იმ წარმატებებს, რასაც ქვეყანამ ბოლო წლებში მიაღწია აივ ინფექციასა თუ C ჰეპატიტის მკურნალობის თვალსაზრისით, ჩვენთვის ცნობილია, აივ ინფექცია, შიდსის მკურნალობა დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, რაც უფასოდ უტარდებათ მოქალაქეებს, ასევე მიღწევაა C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა, რომელმაც მთელი საქართველო მოიცვა და მთლიანად გაანადგურა C ჰეპატიტის ვირუსი, ნიშანდობლივია აგრეთვე ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციისაკენ სახელმწიფოს მიერ ბოლო ხანს გადადგმული ნაბიჯები, მაგრამ ამის მიუხედავად, სახელმწიფოს ნარკოპოლიტიკა კვლავ ორიენტირებულია დასჯაზე და კვლავ მცირე ინვესტიცია იდება ჯანდაცვის სფეროში, სახელმწიფომ მეტი უნდა გააკეთოს ამ თვალსაზრისით. ჩვენი ორგანიზაცია ამ გარკვეული კატეგორიის მოწყვლად ჯგუფებში _ ნარკომომხმარებლებში აივ ინფექცია შიდსის აღმოჩენის შემთხვევაში ვახდენთ მათ მიყვანას მკურნალობამდე. ისინი ყველანი არიან ჩართულნი პროგრამებში. დღეს არსებული ნარკოპოლიტიკა კი ხელს უშლის მოწყვლად ჯგუფებს, მივიდნენ ისინი ჯანდაცვასთან ახლოს. ამ ხალხის მკურნალობაზე დავხარჯოთ მეტი თანხები და არა მათ დაპატიმრებაზე''.



''მოვუწოდებთ მთავრობებს, ბოლო მოუღონ ნარკომომხმარებელთა კრიმინალიზაციას და დასჯას, ასევე შპრიცების გაცვლის პროგრამებისა და ოპიოიდური ჩანაცვლებითი პროგრამების აკრძალვას. მოვუწოდებთ მთავრობებს, უზრუნველყონ ნებაყოფლობითი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და ადამიანის უფლებებზე მიმართული სამკურნალო პროგრამები, ბოლო მოუღონ დაპატიმრებებს, როგორც მკურნალობის ერთ-ერთ ფორმას''. _ ნათქვამია არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. ორგანიზაციასთან ''ახალი გზა'' თანამშრომლობენ ექიმები: ქირურგი გია ხაბეიშვილი, თერაპევტი _ თამარ ხაცაკვაძე, ინფექციონისტი _ მანანა შენგელია, ფტიზიატრი _ ნანა ჯანჯალია, ნევროპათოლოგი _ გურამ მშვიდობაძე.

ამ ორგანიზაციაში ორწლიანი მუშაობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა შეკრებილთ ფტიზიატრმა ნანა ჯანჯალიამ:

''ნარკოდამოკიდებულ პირებს აქვთ სუსტი იმუნიტეტი და ადვილად ავადდებიან ტუბერკულოზით. ამიტომაც 2 წლიანი სკრინინგის პროგრამა განხორციელდა ორგანიზაციაში. მე მომიწია ამ ხალხთან შეხვედრა და ბევრი ყოფილი ნარკოდამოკიდებულის, ბენეფიციარის გაცნობა.

მათ ჩავუტარეთ ტრენინგები, ვუპასუხეთ მათ უამრავ კითხვას, ამ სკრინინგის მიზანი იყო, ჩივილები, რომლებიც ბენეფიციარებს ჰქონდათ, გაგზავნილი ყოფილიყო გამოკვლევებზე, რათა მომხდარიყო დაავადებების პრევენცია. იყო შემთხვევები, რომ შესაბამის ტუბდაწესებულებებში დაუდგინდათ შესაბამისი დაავადება, მკურნალობენ და ახალგაზრდები ძალიან გაფრთხილდნენ, ისინი არიან კმაყოფილნი, ეს ორწლიანი სკრინინგის პროგრამა უკვე დასრულდა და გარკვეული შედეგები გვაქვს, რამდენიმე ახალგაზრდა ბენეფიციარი მკურნალობს, ვფიქრობ, ამ ორგანიზაციის ძალიან სწორი ნაბიჯი იყო ეს. მეც ვემხრობი, ნარკომომხმარებლებს უნდა ვუმკურნალოთ და არა დავსაჯოთ ისინი!''

# ''მუნიციპალიტეტებს შორის პირველი ადგილი'' _ სამტრედიელი ინტელექტუალთა მორიგი მიღწევა

ნათია ნაცვლიშვილი

ბოლო ხანებში სამტრედიელი ''ინტელექტუალები'' წარმატებებით გვანებივრებენ. ამჯერად საქართველოს 22-ე ჩემპიონატზე ინტელექტუალურ თამაშში ''რა? სად? როდის?'' (სპორტული ვერსია) სამტრედია ორი გუნდით წარსდგა, რაც განსაკუთრებით სასიამოვნოა. საქართველოს ჩემპიონატი 25-26 ივნისს, თბილისში, სასტუმრო ''ჰუალინგში'' გაიმართა, მასში მონაწილეობა მიიღო 68 გუნდმა. ის ფაქტი, რომ წელს პირველად ჩემპიონატზე სამტრედიის მუნიციპალიტეტი 2 გუნდით წარსდგა, სიამაყის გრძნობას უმძაფრებს ''ინტერსტელარის'' კაპიტან გიორგი ჩაჩუას. ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული გიგა ჩალიგავას გუნდი ''ჯერონიმო''. გიგა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტია. ჩემპიონატიდან დაბრუნებულმა გიორგი ჩაჩუამ ''სამტრედიის მაცნეს'' შთაბეჭდილებები გაუზიარა:



''გუნდებმა ჯერ მონაწილეობა მიიღეს შესარჩევ ტურნირში, რომელიც ახალი, საერთაშორისო წესების მიხედვით მიმდინარეობდა. თითოეულ ტურში საუკეთესო შედეგების მქონე 10 გუნდი გადიოდა ფინალში, ჩვენი მუნიციპალიტეტის ორივე გუნდმა მოიპოვა ფინალში თამაშის უფლება.

ფინალში მონაწილეობას ღებულობდა 60 გუნდი, ისინი იყვნენ დაკომპლექტებულნი საქართველოს საუკეთესო მოაზროვნეებით. ჩემპიონატის წამყვანმა, გიორგი მოსიძემ დასვა 72 შეკითხვა, როგორც მოსალოდნელი იყო, ფინალში გაიმარჯვა და საქართველოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა გუნდმა ''გალახადი'' საქართველოს საუკეთესო მოაზროვნის, გიორგი ბაქრაძის კაპიტნობით.



რაც შეეხება ჩვენს გუნდებს, წარმატებით ვიასპარეზეთ, მუნიციპალიტეტებს შორის პირველი ადგილიც დავიკავეთ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ''ჯერონიმოს'' წარმატება, რომლის წევრებმაც მიუხედავად იმისა, რომ ასეთ წარმომადგენლობით ტურნირში პირველად მონაწილეობდნენ, ძალიან მაღალი შედეგი აჩვენეს და ბევრ ისეთ გუნდს აჯობეს, რომლებიც სატელევიზიო სერიაში თამაშობენ''.

გიორგი ჩაჩუას თქმითვე, ზაფხულში ინტელექტუალური მარათონი აჭარაში გაგრძელდება, სამტრედიელი ინტელექტუალები კვლავ აპირებენ ჩემპიონატში მონაწილეობას და მათთვის ჩვეული წარმატებების მოპოვებას.

# "უკვდავია ქართული სიმღერა, ბაბუ!"

ნათია ნაცვლიშვილი

***ანდერძად შეუძლია დაუგდოს ყველა ქართველმა ბაბუამ თავის შვილიშვილს არტემ ერქომაიშვილის, ხალხური სიმღერებისა და საგალობლების უბადლო შემსრულებლის, ეს სიტყვები. "ჩემი ბაბუა - არტემ ერქომაიშვილი" _ ასე ჰქვია ახლახან გამოცემულ წიგნს, რომლის ერთგვარი პრეზენტაციაც მოხდა იმ შესანიშნავ კონცერტზე, ფოლკლორულმა ანსამბლებმა "ალილომ" და "დილილმემ" რომ შემოგვთავაზეს.***

წლის ბოლო, შემაჯამებელი კონცერტი ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში კულტურული საზოგადოებისათვის სულის პურად, ერთგვარ მალამოდ იქცა, დარბაზში ბევრი ადამიანი არ იჯდა, ისხდნენ ისეთნი, ვისაც ჟრჟოლას ჰგვრის საუკუნეების წიაღიდან მომდინარე ქართული მრავალხმიანი სიმღერა, მამიდან შვილში, ბაბუიდან შვილიშვილში რომ "გარდაედინება" ვითარცა "ღვინო ქვევრიდან ხაპში" და საუკუნეებს გადაეცემა, როგორც უკვდავი განძი. ამ ჭეშმარიტებაში ჩვენ "ალილოსა" და "ჩანგის" წევრებმა დაგვარწმუნეს.

საღამო ჩვენმა კოლეგამ, მხატვარ-კარიკატურისტმა შოთა პაპავამ წაიყვანა, რომელმაც საოცარი აკადემიზმი შეჰმატა ამ ულამაზეს საღამოს, ხელოვნების ჭეშმარიტ ზეიმად ქცეულ დღეს.

"არ მავიწყდება, საკონცერტო ნათლობისას მამაჩემისა და ბაბუაჩემის ჩახვეულ ხმებს ვერ გავუძელი, ტონალობას ავცდი, გავჩერდი, შემეშალა-მეთქი, ვუთხარი ოთხი წლისამ. მაყურებლის ოვაცია დავიმსახურე. დამამშვიდა ბაბუამ _ ხელახლა დავიწყოთ, ჩვენი ბრალია, აღარ აგვერევაო, ხმაშეწყობით ვიმღერეთ მართლაც". _ შოთა პაპავამ გენიალური მომღერლის, ანზორ ერქომაიშვილის ეს მოგონებაც გააცნო დარბაზს და მსმენელიც სასიმღერო მარგალიტებით სავსე ბილიკებს გაუყვა...



გმირობის ტოლფასია ქალბატონების მადონა კოხრეიძისა და მერი ტკვაცირიას საქმიანობა. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის (დირექტორი ტატა გოგუაძე) ანსამბლები "ალილო" და "დილილმე" უდიდეს ქართულ საქმეს ემსახურებიან, ისინი ინახავენ ჩვენს გენეტიკაში დაცულ განძეულობას, ჩვენს სიძლიერეს _ ქართულ ხალხურ სიმღერას. "იმერული მგზავრული", "მუხა წინწილებს", "ია და ვარდო", "იმერული საოხუნჯო", "ლალე", "ოთხი ნანა", "ბატონები", "თუ ასე ტურფა იყავი" _ ეს მარგალიტები "ალილოს" (მადონა კოხრეიძე) III და IV თაობათა და გოგონათა ანსამბლ "დილილმეს" (მერი ტკვაცირია) წარმომადგენლებმა შეასრულეს.

კონცერტი კი აწ გარდაცვლილ შესანიშნავ ლოტბარს, "ალილოს" პირველი თაობის გულშემატკივარს, კონსულტანტს, მეგობარს, მურმან ბერულავას მიეძღვნა.



"როცა ცნობილმა გერმანელმა მუსიკათმცოდნემ, ზიგფრიდ ნადელმა, ევროპული მრავალხმიანობის საფუძვლად ქართული პოლიფონია მიიჩნია, როდესაც იგორ სტრავინსკიმ გურულ სიმღერებს უმაღლესი შეფასება მისცა და ამერიკელემა კოსმოსური ხომალდით გალაქტიკაში "ჩაკრულო" გაუშვეს, ისღა დაგვრჩენია, გავუფრთხილდეთ საუკუნეებგამოვლილ ეროვნულ საგანძურს". _ აღნიშნა საღამოს წამყვანმა.

სიმღერათა უმრავლესობა აკაპელათი შესრულდა, განუმეორებელი იყო ანრი მანჯგალაძე თავის საყვარელ ინსტრუმენტთან _ ფანდრუთან, ერთად.

ანსამბლის ხელმძღვანელ მადონა კოხრეიძის საოჯახო ალბომში მოძიებული სიმღერა ბოლქვაძეების საგვარეულო დინასტიის მეხუთე თაობის წარმომადგენლის პატარა დავით აბრამიშვილისა და მისი მეგობრის, ავთო გეგეშიძის, შესრულებით მაყურებელმა პირველად მოისმინა. ბანი პატარებს მერი ტკვაცირიამ მისცა. წარმატებული აღმოჩნდა მერის შვილისათვის, ავთო გეგეშიძისთვის, საკონცერტო დებიუტი.

სიმღერა "ნადური" კონცერტის ფინალურ აკორდად იქცა. კონცერტს განსაკუთრებული ელფერი შესძინა ქართული კინო შედევრებიდან ხალხური სიმღერების ამონარიდებმა, რაც ვიდეოკოლაჟის სახით წარმოადგინეს. შთაბეჭდილებებით აღსავსე ფრანგული ენის პედაგოგი, გულიკო გოგიტიძე სცენაზე აკაკი რუხაძის ლექსით ავიდა, რომელიც პოეტს ამ ბავშვების მოსმენის შემდეგ ექსპრომტად დაუწერია:

"მუდამ გიჭირდა, მაინც მღეროდი,
მტრებს არ უკრთოდი, ერო ჩაგრულო,
უფლის აღდგომას მკვდრეთით ელოდი
და საგანძურში გედო "ჩაკრულო".

კონცერტის ბოლოს შთაბეჭდილებათა გაზიარება მუსიკის სფეროში მოღვაწე ქალბატონებს ვთხოვეთ:

"ძალიან მომეწონა ეს კონცერტი, დიდ სირთულეებს არიან შეჭიდებულნი ჩვენი პედაგოგები და შესანიშნავად აკეთებენ საქმეს, ქართულ ფოლკლორს დაკარგვა არ უწერია, ამაში ეს დღეც გვარწმუნებს". _ აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ანსამბლ "ათინათის" წევრმა, პედაგოგმა ნათელა ჯიმშელეიშვილმა.

მარინე პაქსაშვილი, ანსამბლ "ათინათის" ხელმძღვანელი: "ძალიან კარგი კონცერტი იყო. მოხარული ვარ, რომ ახალი თაობა ჩვენს ძირძველ, ქართულ ხალხურ სიმღერებს სწავლობს, ისისხლხორცებენ, რომ ქართველობა არ დაიკარგოს".

მზია ჯინჭველაშვილი, კომპოზიტორი: "რა რთული სიმღერები შეასრულეს ამ ანგელოზებმა, აღფრთოვანებული ვარ, დღეს დუღდა ქართული სული ამ დარბაზში, სიტყვები არ მყოფნის, გაოცებული ვარ, რა ნიჭიერი თაობა გვყავს, ჩვენი თაობები ამ ხალხურ საგანძურზე უნდა აღიზარდონ".

ანა აბზიანიძე, ანსამბლ "იმედის" ხელმძღვანელი: "მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს უსაყვარლეს მეგობრებს _ მადონასა და მერის ამ კონცერტისათვის. კარგია ვოკალური ანსამბლები, მათი შესრულებაც მოსაწონია, მაგრამ ქართული ფოლკლორი ეს იმდენად დიდი ბრილიანტია, ყველაზე მეტად კაშკაშებს. სასწაული მოახდინეს დღეს ამ ანსამბლებმა, ისე დახვეწილი ხმებია, თვალზე ცრემლი მომადგა მათი მოსმენისას. მადლობა ღმერთს, რომ სამტრედიას მადონასა და მერის სახით ჰყავს საუკეთესო პედაგოგები. ამ ბავშვებს ისეთი კარგი საწყისი აქვთ, არ შეიძლება ამ ანსამბლებს არ გამოუჩნდეთ სამომავლოდ სპონსორები. თქვენ ვერ წარმოადგინეთ ეს პედაგოგები რა მინიმალურ ხელფასს ღებულობენ, მათი ენთუზიაზმი დასაფასებელია, მეამაყება, რომ ისინი ჩემი მეგობრები არიან. განსაკუთრებით მოვიხიბლე, როცა კონცერტის ფინალური სიმღერა "ნადური" მოვისმინე...

# "მამულო ტკივილიანო, გმირები გეზრდებიანო"

ნათია ნაცვლიშვილი

***145 წლის სამტრედიასთან თუკი რამე ასოცირდება, ერთ-ერთი, ანსამბლი "იმედია". თამაზ დუნდუას მიერ დაარსებული ეს ანსამბლი დღითიდღე უფრო და უფრო კაშკაშებს და ბრენდის სტატუსს არა და არ თმობს. "იმედელთა" ყოველი კონცერტი სამტრედიულ პუბლიკას აღაფრთოვანებს. ანა აბზიანიძემ, "იმედის" პირველივე თაობის წარმომადგენელმა და ანსამბლის ამჟამინდელმა ხელმძღვანელმა "იმედის" საზაფხულო კონცერტზე მიგვიპატიჟა ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში. უნდა ითქვას, რომ ბოლო ხანს, კულტურული ღონისძიებების დროს ეს დარბაზი ვერ ივსება, თუმცა, ალბათ, ამ შემთხვევაში გული უნდა გავიკეთოთ და ოპტიმისტის გადმოსახედიდან ვთქვათ (ნახევრად ცარიელი ჭიქის ნაცვლად ოპტიმისტი "ნახევრად სავსეს" ამბობს) მაყურებლის არა რაოდენობა, არამედ ხარისხია მთავარი.***

საღამო საბა ჩაჩუამ და მარიამ ლორიამ წაიყვანეს და მომღერლის სასიამოვნო მისიას წამყვანობაც შესანიშნავად შეუხამეს. გაჟღერდა გუნდის ულამაზესი ხმები, შესრულდა ქორეოგრაფიული ნომრებიც, "გვიყვარდეს ქართული სიმღერა" ამ სახელწოდებით კონცერტი შემოგვთავაზეს "იმედელებმა".



სცენაზე იდგა დომენტი შანიძის სახელობის სახელოვნებო სკოლის მოსწავლეთა გუნდი (ხელმძღვანელი იზო რუსაძე). სოლო პარტიებით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე ნია ტოხვაძე, ანზორ კიკოლეიშვილი, ვახო დვალიშვილი, ნინო ნიკოლეიშვილი, ელენე ესებუა, ანა სიხარულიძე, ოლეგ მეგენეიშვილი. აკაპელა 4 ხმაში შემოგვთავაზა 7-მა პატარა მომღერალმა. ნინო თავაძის შესრულებით ულამაზეს ქართულ სიმღერას ანსამბლ "ლილეს" მოცეკვავე გოგონების შესანიშნავი ქორეოგრაფიაც შეერწყა. ანასტასია სპირანტმა გუნდთან ერთად შეასრულა ბერძნული სიმღერა. მადლობა თანადგომისთვის ქორეოგრაფ მაკა მეფარიშვილს გამოუცხადეს. გუნდთან ერთად იმღერეს ასევე ანი ჯინჭარაძემ და ელენე ესებუამ, სცენაზე წარსდგა ვაჟთა გუნდიც. ყველა "იმედელი" მოიხმეს კონცერტის დასასრულს და ერთობლივი ლამაზი ჰანგებით დაგვატკბეს.



კონცერტის ბოლოს სცენაზე ავიდა ანა აბზიანიძე და მადლობა გადაუხადა კულტურის ცენტრის ხელმძღვანელს, ვეფხია ნადირაძეს, ყველას, ვინც კონცერტის ორგანიზებაში მიიღო მონაწილეობა, ასევე დარბაზში მსხდომ სასულიერო პირებს.

"დღევანდელი საღამო შედგა. თუ ჩვენი სკოლის ბავშვებმაც ცოტა მაინც წვლილი შეიტანეს მასში, ეს ძალიან სასიხარულოა, მადლობა უფალს, ამაყი ვარ, რომ სამტრედიაში მოღვაწეობს ასეთი ნიჭიერი მომღერალი, ანა აბზიანიძე რომ არა იგი, ეს საღამო ასეთი ლამაზი არ იქნებოდა. მგონია, მართლა კარგი კონცერტი გამოვიდა. მიყვარხართ და მეამაყებით". _ მიმართა კონცერტის ყველა მონაწილეს დომენტი შანიძის სახელობის სახელოვნებო სკოლის სასწავლო ნაწილმა იზო რუსაძემ.

სცენაზე ავიდნენ და იქიდან მოეფერნენ "იმედელებს" მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილი და მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსხურის უფროსი ნატალია მანჯგალაძე. ნატალია მანჯგალაძემ ანსამბლის დამაარსებელ თამაზ დუნდუასთან მეგობრობაც გაიხსენა და აღნიშნა, რომ იმ დღეს უსათუოდ ამ ბუმბერაზი პიროვნების სული ტრიალებდა დარბაზში, რომელმაც სამტრედიის ისტორიაში ლეგენდარული კვალი დატოვა.

"იმედის" პირველი თაობის წარმომადგენელი და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი, ტატა გოგუაძე აღფრთოვანებას ვერ ფარავდა: "არაჩვეულებრივი დღე იყო, ვულოცავ ანას ამ დიდ წარმატებას და მთელ ანსამბლს. მადლობა შესანიშნავ გუნდს, საუკეთესო სიმბიოზი იყო".

კომპოზიტორი მზია ჯინჭველაშვილი: " აღფრთოვანებული ვუსმენდი, გამახსენდა დომენტი შანიძის სამუსიკო სკოლა, როცა ვმღეროდი სცენაზე, ანსამბლში დღითიდღე ახალ-ახალ თაობას უკეთესი მუხტი და ენერგია, შემართება მოაქვს. ანას პატარაობიდან ვიცნობ და ვაკვირდები, მურმან ბერულავას "საქანელას" მოსკოვიდან რომ გვიმღეროდა, დიდ წარმატებას ვუსურვებ მას თავის სამ შესანიშნავ ლამაზ და მუსიკალურ შვილთან ერთად".

_ ასეთი ახალგაზრდები გვიმრავლოს ღმერთმა, ულრუბლო ზეცა მინდა ვუსურვო ამ ბავშვებს, "რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს, სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ". _ ემოციები გაგვიზიარა დარბაზში მყოფმა პედიატრმა, მაია ელიაშვილმა.

# რაზე სწყდება გული ნათია დოლიძეს?

ლევან გაბეჩავა

***"პირველი დღიდან შენი ნახვისა მომწონხარ და მიყვარხარ კიდეც".***

***ეს სიტყვები ჩვენს რესპონდენტს ნათია დოლიძეს ნაჩუქარ წიგნზე "ჭეშმარიტი ბათუმელები" ცნობილმა რეჟისორმა, იმხანად ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტის რექტორმა გიზო ჟორდანიამ მიუწერა. ნათია სამტრედიაში დაიბადა. დედა ქეთევან კეშელავა პედაგოგია, მამა ავთანდილ დოლიძე ერთხანს ანსამბლ "რერიოს" მუსიკოსი იყო, ორი წლის წინ გარდაიცვალა.***

_ ბავშვობაში, ბაბუას, გიორგი (ჟორა) კეშელავას თეატრში ხშირად დავყავდი, აქ რამდენადმე მაინც შესაძლებელი იყო, გავცნობოდი მსახიობთა სცენისმიღმა ცხოვრებას, თეატრის შიდასამზარეულოს, ყველაფერმა ამან განაპირობა, რომ მე ხელოვნების ფაკულტეტი დავამთავრე დრამისა და კინოს მსახიობის სპეციალობითო, გვიყვება ნათია და III კურსზე სერგო კლდიაშვილის პიესაში "უკანასკნელი რაინდი" შესრულებულ თამარ შარიშვილის მთავარ როლსა და სადიპლომო ნამუშევარს _ ი. იონესკოს აბსურდული ჟანრის პიესა "მაკბეტში" ლედი დუნ კანის როლს იხსენებს.



თავდაპირველად ჟურნალისტობაზეც უოცნებია, დღემდე მოსწონს ტელეწამყვანის პროფესია, თუმცა...

ნათია, როგორც მსახიობი, რეალიზებული არაა, გული სწყდება ამის გამო, თუმცა მისი ნიჭისა და სამტრედიელობის, დიდი ეროსისა და ჯემალ ღაღანიძის თანაქალაქელობის წყალობით ინსტიტუტში ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო.

მისი პედაგოგები იყვნენ ცნობილი ადამიანები, მათგან კი, ლილი იოსელიანის ყოფილ მოსწავლესა და უსაყვარლეს პიროვნებას, ბატონ ლევან (რეზო) მირცხულავასა და ბატონ ვასილ კიკნაძეს გამოჰყოფს, ბატონი ვასილი ქართული თეატრის ისტორიას უკითხავდა.

ჩვენი რესპონდენტი აბიტურიენტობისას გაწეულ სიკეთეს არც დღეს უკარგავს ვეფხია ნადირაძეს, ბევრი თბილი სიტყვა თქვა ნათიამ მისი მისამართით.



კახი კავსაძე, ზურა ყიფშიძე, მარინა კახიანი, ნანუკა ხუსკივაძე... ის მსახიობები არიან, რომელთაც ამ ეტაპზე უპირატესობას მივანიჭებდიო. _ საუბარს განაგრძობს რესპონდენტი.

ქართული ფოლკლორის, განსაკუთრებით მეგრული სიმღერების დიდი დამფასებელია, იგივეს ამბობს ბეთჰოვენსა და შოპენზე, მათ კლასიკურ ნაწარმოებებზე.

სამტრედიელებს, ალბათ, ემახსოვრებათ სხვადასხვა ღონისძიებებზე ნათიას მიერ ორიგინალურად შესრულებული სიმღერები.

მუსიკალური სკოლაც დაამთავრა ნათიამ, განსაკუთრებით მისი პედაგოგის, მარინა დვალიშვილის ღვაწლზეც საუბრობს, მუსიკა და სიმღერა სწორედ მან შემაყვარაო.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტია საორგანიზაციო საკითხებში ამჟერად ნათია დოლიძე.

_ 9 საათიდან 6 საათამდე დაკავებული ვარ, მეუღლე, ორი წლის დათუნა, ოჯახის სხვა წევრები ყოველნაირად მიწყობენ ხელს სამსახურში რომ ვიაროო, ნათიამ და ბევრისაგან განსხვავებით, განსაკუთრებით, დედამთილის მისდამი თბილ დამოკიდებულებას გაუსვა ხაზი, ოჯახი ჩემთვის ყველაფერიაო. _ დასძინა.

რაც შეეხება სამსახურს, თანამშრომლებს, აქ ნამდვილად სამუშაო გარემოა, დატვირთულები ვართ, ადამიანური, კოლეგიალური დამოკიდებულებების გათვალისწინებით ნამდვილ ფუფუნებაშიც ვართ.

არ შემიძლია, არ გამოვყო საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ნუგზარ ჯამბურია, იგი საოცრად მოწესრიგებული, ობიექტური პიროვნებაა. _ გვეუბნება რესპონდენტი.

წარმატებებს ვუსურვებთ ნათიას სამომავლოდ და იმ ჯერჯერობით აუხდენელი ოცნების ხორცშესხმას, რომელსაც მსახიობობა ჰქვია. მერე კი, მერე "სამტრედიის მაცნე" უფრო ვრცლად დაწერს უკვე სცენის მტვერნაყლაპი მსახიობის შემოქმედებაზე.

# ღირსეული ღირსეულად გააცილეს

ნათია ნაცვლიშვილი

***საინტერესო შემთხვევა: როცა საბავშვო ბაღის ბიოგრაფია დირექტორის სამსახურებრივ ბიოგრაფიას ლამის ემთხვევა. ზედა გომის საბავშვო ბაღი 1973 წელს დაარსდა. ამ ბაღში 1975 წელს მოვიდა პედაგოგად, 1989 წლიდან 2016 წლამდე კი მას, მარინა ქორიძე ხელმძღვანელობდა. ახლად დაარსებულ ბაღში ნიჭიერი კადრი მალე დააწინაურეს და უკვე დირექტორად ყოფნის 41 წელიც ლამაზ აკორდებად აიკრიფა დროის შავ-თეთრი როიალის კლავიშებზე. ღვაწლმოსილ ქალბატონს გაცილება მოუწყვეს მშობლიური ბაღის კედლებში.***



მა მუნიციპალიტეტის გამგებელს და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს. "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში გამგებლის წარმომადგენელმა გომის თემში, ზაზა ნიკოლეიშვილმა აღნიშნა:

"სოფლის პროგრამით 2015 წელს 35 000 ლარის ფარგლებში შესრულდა სამუშაოები. აქ ჩატარდა კოსმეტიკური რემონტი, მოწესრიგდა სველი წერტილები, გამოიცვალა კარ-ფანჯრები, ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ 2017 წლის 1 იანვრიდან აქ დაიწყოს ფუნქციონირება ბაგამ, რაც თავისთავად ნიშნავს ახალ სამუშაო ადგილებს და ბავშვების მატებასაც. პარალელურად, ჩაიდება ბიუჯეტში თანხა ინვენტარის შესაძენად, შევიძენთ საწოლებს, მაგიდებს და სკამებს".



"უსაყვარლესო ქალბატონო, მე აქ მუსიკის პედაგოგად მოვედი, წლების წინ, ახლა თავად ვარ დირექტორი, მადლობა იმ სიკეთისათვის, რაც ჩემს წინაშე და არა მარტო ჩემს წინაშე მიგიძღვით, იმედი მაქვს ღირსეულად გავაგრძელებ თქვენს გაკვალულ გზას, ჯანმრთელობას და სულის მხნეობას გისურვებთ!" _ მიმართა ღვაწლმოსილ ქალბატონს ბაღის ახალმა მმართველმა, თამუნა ბაშელეიშვილმა.

"თქვენი დაფრთიანებული გოგო-ბიჭები კარგ დედებად და მამებად იქცნენ, მადლობას გიხდით, "ბევრი თაობის აღზრდისთვის, მკლავი გიკურთხოს ზენამა". _ თქვეს პატარებმა და როგორც ბაღის წლევანდელმა გამოშვებამ, ისე შედარებით პატარებმა ულამაზესი სანახაობა შემოგვთავაზეს. 11 აღსაზრდელი გააცილა იმ დღეს ბაღმა. კოსტიუმები, სიმღერა, ლექსი, ქორეოგრაფია _ ყველა კომპონენტი მოთხოვნას პასუხობდა. მათ ხელისუფლების წარმომადგენელთა მოწონებაც დაიმსახურეს და ბევრი აპლოდისმენტიც. განსაკუთრებულად თბილად მიესალმნენ ქალბატონ მარინას გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია, მისი მოადგილე ქალბატონი, ლიზა კრავეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი, ხათუნა ახობაძე და გაერთიანების სახელით საჩუქრებიც გადასცა ყოფილ მმართველს. სამახსოვრო ფოტომ იმ დღის ყველა ემოცია შემოინახა.

ქალბატონმა მარინამ გულთბილი გაცილებისთვის დიდი მადლობა გადაუხადა ადგილობრივ ხელისუფლებას და სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელობას, ასევე მის კოლეგებს და ზედა გომის საბავშვო ბაღს წარმატებები უსურვა. ამასთანავე, მუშაობის ხანგრძლივობის მისეული ფორმულაც გაგვაცნო: "იმუშავე წესიერად და ნურაფრის გეშინია!"

ლელა ხუჭუა მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების სპეციალისტი კმაყოფილებას ვერ ფარავდა. ის ამ ბაღის მეთოდისტიც გახლავთ: " მინდა სახელოვან ქალბატონს, ღვაწლმოსილ მუშაკს, მარინა ქორიძეს წარმატებები ვუსურვო, მივულოცო. 41 წელი იმუშავა ღირსეულად, ეს ბევრის მთქმელია, ასევე მინდა აღვნიშნო პედაგოგთა ძალისხმევა და მონდომება, აღმზრდელმა ეკა თევზაძემ და თანაშემწემ ზეინაბ ქორიძემ შესანიშნავად მოამზადეს საკონცერტო ნომრები. ზეინაბი ქალბატონი მარინას შვილია და ღირსეულად აგრძელებს დედის გზას, მინდა ამ ბაღს დიდი წარმატება ვუსურვო".

## მიყვარს და ვუყვარვარ პატარებს



სამტრედიის მუნიციპალიტეტის №4 ბაგა-ბაღის ღირსეულ პედაგოგს გულო ბოხუას დიდ მადლობას უხდიან 5-6 წლიანთა ჯგუფის აღსაზრდელთა მშობლები. კვლავაც უამრავი თაობა აღგეზარდოთ ასე ღირსეულად.

ჩვენ ვთვლით, რომ ბედნიერია ქვეყანა, სადაც ასე ზრუნავენ ბავშვებისთვის, ეს დაუღალავი შრომის შედეგია. ჩვენო ძვირფასო გულო მასწავლებელო, თქვენ დაგვანახეთ ჩვენი შვილების ნიჭი, თურმე რამდენი რამ შეუსწავლიათ, თქვენი და თქვენი თანაშემწეების დახმარებით, გაგვაოცეთ. მოგვეცით ნება, ამ სკოლამდელ დაწესებულებას ვუწოდოთ "ცოდნის ტაძარი"

ჩვენს შვილებს ჩვენზე მეტად უყვარხართ. ერთხელ კიდევ გიხდით უღრმეს მადლობას. უფალმა დაგლოცოთ.

<u>*5-6 წლიანთა ჯგუფის აღსაზრდელთა მშობლები*</u>

# არ დაგვივიწყოთ, არ დაგვეკარგოთ!

ნინო ნანიტაშვილი

მე-11 ბაგა-ბაღმა წელს 38-ე გამოსაშვები ღონისძიება აღნიშნა. ივნისის ბოლოს ერთ მზიან და ნათელ დღეს ლამაზად მორთულ საკონცერტო დარბაზში სტუმრები მიიწვიეს და მშობლიურ ბაგა-ბაღთან დამშვიდობება საზეიმოდ აღნიშნეს. გაიხსენეს და გაახსენეს აღმზრდელებს, რომ მათ გუშინდელივით ახსოვთ, წლების წინ მშობლებთან ერთად რომ მივიდნენ ბაღში. გულისფანცქალით, კრძალვითა და რიდით როგორ ჩააბარეს მათი თავები, თვალცრემლიანები როგორ შესცქეროდნენ თანატოლებს.

''თქვენ გვასწავლეთ სამშობლოსა და წიგნების სიყვარული. ''იავნანასავით'' გვესმოდა თქვენი წაკითხული ზღაპრები, ლექსები, მოთხრობები, აქ ვისწავლეთ მეგობრობა, ტოლერანტობა, ბოროტისა და კეთილის გარჩევა''. _ სხაპასხუპით წარმოსთქვა პატარა ავთომ და საზეიმო დილა მიძღვნილი ბაგა-ბაღის დამთავრებასთან დაკავშირებით გახსნილად გამოაცხადა.

შესრულდა სიმღერები: ''რა დილა თენდება'', ''ეს ზღაპარი ან ხდება, ან არა'' ''ზაფხულია, ცხელა, ცხელა'', ''სკოლის ზარი'', ''ჯადოსნურ ქალაქში''. ცეკვები: ''კვა-კვა'', ''აჭარული''. რეზიმ მხატვრულად წაიკითხა ლექსი ''აი, ია, აი, შენი დედაენა''.

ლევანმა თავის მონოლოგში მე-11 ბაგა-ბაღში გატარებული დღეები ჩამოაყალიბა: ''ჩვენ უკვე გავიზარდეთ, დავფრთიანდით და მალე ცოდნით დატვირთულები გავუყვებით სკოლისაკენ მიმავალ გზას, იქ, სადაც ჩვენ გველოდება ჩვენი მომავალი მასწავლებელი, პირველი ზარის ხმაზე მივუსხდებით სკოლის მერხებს და ვეზიარებით იაკობ გოგებაშვილის ''დედაენას''.

ზეიმის ბოლოს გამოსაშვები ჯგუფის აღსაზრდელებმა მადლობა გადაუხადეს აღმზრდელებს, მშობლებს, ხელისუფლების წარმომადგენლებს გაწეული მზრუნველობისათვის, ლამაზი და დაუვიწყარი ბავშვობის წლების ჩუქებისათვის.

ღონისძიება შეაფასა და საოცნებო სკოლისაკენ მიმავალ გზაზე პატარებს წარმატებები უსურვა სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების სპეციალისტმა იზო ხუჭუამ: ''დღევანდელმა დღემ შთამბეჭდავად ჩაიარა და კიდევ ერთი ფურცელი გადაშალა ბაგა-ბაღის ისტორიაში. დიდი მადლობა თქვენ ბაგა-ბაღის მთელ კოლექტივს დღევანდელი დღისთვის.

ჩემს მიერ შემოწმებული იქნა სასკოლო ასაკის ბავშვთა მზაობა სკოლისათვის. აღმზრდელმა, მაია მეგენეიშვილმა შეაჯამა მთელი წლის მანძილზე მიღებული ცოდნა. აღსაზრდელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მზად არიან მიუსხდნენ სკოლის მერხებს. აქვთ მიღებული ზოგადი განათლება სკოლამდელი ასაკის შესაბამისად.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი აღსაზრდელები ჩვენი ქალაქის სამაგალითო შვილები გახდებიან და ღირსეულად დააფასებენ თქვენს ღვაწლს''.

გულისამაჩუყებელი იყო ზეიმის ბოლოს გოგოლა კარტოზიას, მე-11 ბაგა-ბაღის მმართველის მისალმება: ''ეს დღე ჩემთვის ყოველთვის განსაკუთრებულად ემოციურია. ვემშვიდობებით და სკოლისაკენ გზას ვულოცავთ ჩვენს ნაზარდ ბავშვებს. წელს მე-11 ბაგა-ბაღი გამოშვებას ზეიმობს, 54 წელია, რაც სისტემაში ვმუშაობ და ამ დღეს ცრემლებისა და გულისწყვეტის გარეშე არ ჩაუვლია. ძნელია, შეელიო პატარებს, რომლებსაც 4-5 წელია, ოჯახებთან ერთად ჩვენც ვზრდით და პიროვნებებად ვაყალიბებთ. ახლა კი თქვენ მოგმართავთ, ჩემო ძვირფასებო, ცუგრუმელებო, თქვენმა ბედნიერმა ბავშვობამ ჩვენს საბავშვო ბაღში გაიარა, აქ ისწავლეთ და შეიმეცნეთ ერთმანეთის, თქვენი სამშობლოს სიყვარული. მიიღეთ ასაკის შესაფერისი ცოდნა და უნარები. იცით მოსმენა, გაქვთ მეხსიერება. ახლა კი სკოლა გელოდებათ, დარწმუნებული ვარ, იქაც ისეთივე კარგები და გამორჩეულები იქნებით, როგორებიც იყავით მე-11 ბაგა-ბაღში. ერთს გთხოვთ, არ დაგვივიწყოთ, არ დაგვეკარგოთ!''

მე-11 ბაგა-ბაღში გამოსაშვებ საღამოზე საპატიო მისიით მოწვეულები იყვნენ მე-2 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგები, თეა ხაჟალია და მარინა ადეიშვილი. ღონისძიების ბოლოს საალმზრდელო დაწესებულებას მადლობით, ხოლო აღსაზრდელებს მათი სკოლის შეთავაზებით მიმართეს. თეა ხაჟალიას თქმით, მე-11 ბაგა-ბაღის უკვე ყოფილ აღსაზრდელებს მე-2 საჯარო სკოლაში ბევრი დაუვიწყარი დღე ელოდებათ.

სამადლობელი სიტყვები იმ დღეს არც პატარების მშობლებს დაუშურებიათ. ანა კონწლიაშვილის ორივე შვილი მე-11 ბაგა-ბაღმა დააფრთიანა: ''მადლობას გიძღვნით მშობლების სახელით, ჩვენო ძვირფასო აღმზრდელებო, ქალბატონო გოგოლა. თქვენ უდიდესი წვლილი მიგიძღვით ჩვენი შვილების აღზრდა-განვითარებაში. მადლობა იმ ლამაზი და ხალისიანი დღეებისთვის, რაც ჩვენმა პატარებმა თქვენს დაწესებულებაში ყოფნით მიიღეს''.

გამოსაშვები ჯგუფის აღსაზრდელებს სკოლისაკენ მიმავალი გზა დაულოცა და საბავშვო ბაღში მათი მოსვლა გაახსენა პირველმა მასწავლებელმა, ნათელა გოგლიჩიძემ: ''ჩემო ცუგრუმელებო, გილოცავთ დღევანდელ დღეს. ბედნიერები ხართ, რადგან უკვე გაიზარდეთ და გიხმობთ სკოლის ზარები. მახსოვს, რა კარგები იყავით ჯერ კიდევ მაშინ, როცა პირველად შემოაბიჯეთ ჩვენი დაწესებულების კარები. მახსოვს, როგორ გიცემდათ პატარა გულები, რა სიყვარულით სავსე თვალებით გვაკვირდებოდით და როგორ გიჭირდათ მშობლებთან გამოთხოვება. იმედიანად გიშვებთ სკოლისაკენ და დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ თითოეული თქვენგანით ნებისმიერი სკოლა იამაყებს''.

მე-11 ბაგა-ბაღის შენობის დატოვებამდე ''სამტრედიის მაცნესთან'' კომენტარის გაკეთება ითხოვა მორიგე მშობელმა, ირმა მახარაძემ: ''მშობლების მორიგეობა, რამდენადაც მე ვიცი, სამტრედიის სინამდვილეში მხოლოდ ამ საბავშვო ბაღშია და ის მმართველმა, გოგოლა კარტოზიამ შემოიღო. ვერ წარმომედგინა ასეთი სიზუსტით თუ ხდებოდა ჩვენი შვილების გამოკვება. მორიგე მშობლები ყოველდღიურად თვალს ვადევნებთ საალმზრდელო პროცესს, კვებას, ჰიგიენას. ამ კუთხით ძალიან კმაყოფილები ვართ. საშუალოდ თვეში ერთხელ მიწევს მორიგეობა. ჩვენს თვალწინ შემოდის სურსათი, თვალს ვადევნებთ პროდუქტების გაცემას. არ მგონია, ოჯახებში გვქონდეს ისეთი წესრიგი, როგორც მე-11 ბაგა-ბაღის სამზარეულოშია. მადლობა მინდა, საქვეყნოდ გამოვუცხადო ქალბატონ გოგოლას, ექთანს თამილა ნიკურაძეს და აღმზრდელ-პედაგოგებს''.





# ზაფხულია, ცხელა, ცხელა...



ბული ასდის ქალაქს და დედაქალაქიდან თუ სხვა ქალაქებიდან ბავშვები სოფლებში ბებია-ბაბუებთან სტუმრობენ.

ჩვენი პატარა რესპონდენტი მხოლოდ 11 წლისაა, თბილისის ინგლისურის გაძლიერებული სწავლების სკოლა ''ნინოს'' მეექვსე კლასის წარჩინებული მოსწავლე.

თბილად საუბრობს მირანდა ჯოჯუა სკოლის დირექტორის ლამარა ქოქიაურის, კლასის დამრიგებლის მაია შაიშვილისა და მისი უახლოესი მეგობრების ნინო ნარინდაშვილისა და ანი გოგაშვილის შესახებ.

ვარკეთილის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მრევლია პატარა რესპონდენტი, მამა იოანეა (წულაია) მისი მოძღვარი.

''მამის სოფელი კორმაღალში, დედის კი ნიგორზღვაში მაქვს, სოფელში უფრო ვერთობი, აქ სხვანაირი ადამიანური სითბოა, მეგობრებიც მეტი მყავს. _ დაბრძენებული ქალბატონივით გვითხრა მირანდამ და დასძინა, რომ ეს-ესაა დაამთვარა ''გრძელფეხება მამილოს'' წაკითხვა. კითხვა მიყვარს, თუმცა მწყრალად არც კომპიუტერთან ვარო.

მეექვსე კლასში ახლა გადავიდა, ჟურნალისტობაზე ან მსახიობობაზე ოცნებობს. ''კინგსის'' ოლიმპიადაზე ქართულ ენაში სერტიფიკატიც დაიმსახურა.

მთელ ზაფხულს სოფელში გავატარებ, ბებია-ბაბუებს შეძლებისდაგვარად მივეხმარები, მერე კი, მერე როცა სწავლა დაიწყება, კვლავ დედაქალაქს მივაშურებო. _ გვითხრა ნორჩმა რესპონდენტმა და თავაზიანად დაგვემშვიდობა.

წარმატებებს, ლამაზი ოცნებების ახდენას ვუსურვებთ მას.

ლევან გაბერავა

***

მამაო თომა აკმევს საკმეველს,
საყდარს შემოსავს თეთრი ღრუბლებით,
და მლოცველები დამდგარან ისე,
თითქოს სანთლებით იყვნენ ცაზე დაკიდულები...

**დედას**

შენს აწყალებულ თვალების ტბაში
უკვე მოსწრებულს რომ ვერ მიტევდი,
ადიდდებოდა ხოლმე და გადმოგდიოდა თვალზე ცრემლებად...

***

თითქოსდა ჩვენი სოფლის კიდეში
მზე სასწაულად ხუჭავდა თვალებს,
და დღე ეყარა დამსხვრეული ნაჭუჭებივით,
თხილის გულივით გარჩეული მოსჩანდა მთვარე.

***

უძილობისგან თვალები კი არ გამწითლებია,
ჩემი გატეხილი ძილის ნამსხვრევებიდან
შენი სახე სისხლად ჩამეღვარა წუხელ თვალებში...

***

დამწიფებულა მზე ამ დილიდან
წითელი ასე ქვიშნა ბალივით,
და უბეები რომ ამოივსოს
თითქოსდა არბის გაზაფხული ხეზე ბალღივით...
დახეთქია წითლად ტუჩები,
უკვე ეტყობა აქ დანაყრება,
პერანგის უბე ამოვსებული
ჩამოისვენა ხეზე ატმებად...

***

ადევნებია მოხუცს პეპელა
ასე სუსტი და ასე ფარფატა,
იქნებ ის გოგო გაეკიდა ახლაც მალულად
და თავზე ბაფთა ველარ დამალა...

ერმილე იოვურია

## განიკურნეთ იოდის საშუალებით

განიკურნეთ იოდის საშუალებით _ დაამარცხეთ 20-მდე დაავადება იოდის ბადით. ყველა ოჯახის აფთიაქში უნდა იყოს პატარა ბოთლი იოდი, იმიტომ, რომ როდის დაგჭირდებათ წარმოდგენა არ გაქვთ. იდეალურია ჭრილობების დასამუშავებლად. მშრალი ხველისას ყელზე გაიკეთეთ იოდის ბადე.

სისხლჩაქცევებისას იდეალურია ბადისებურად იოდის წასმა. მეორე დღეს ჭრილობის კვალს ვერ იპოვით.

გინეკოლოგიური დაავადებების, ანთებების დროს მუცელზე (ქვედა მხარეს), 3-5 საღამოს განმავლობაში გაიკეთეთ იოდის ბადე.

მყესის დაჭიმვისას რამდენიმე დღის განმავლობაში, მტკივან ადგილზე გაიკეთეთ იოდის ბადე. გაციებისას სასარგებლოა იოდის ინჰალაცია _ გახსენით იოდის ფლაკონი და ორივე ნესტოთი რამდენჯერმე შეისუნთქეთ, დღეში 4-5-ჯერ.



წელის ტკივილისას ერთმანეთში შეურიეთ 1 ჩაის კოვზი იოდი და 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი. დაასველეთ მასში ბამბა და წაისვით მთელ ზურგზე. მტკივნეული ადგილის დამუშავება იოდისა და ლიმონის წვენით ყოველდღე მოგიწევთ, სანამ ტკივილი არ გაგივლით.

იოდის ფლაკონში ასპირინის რამდენიმე აბი ჩაურიეთ. თეთრი იოდი მათთვისაა, ვისაც იოდის ბადის გაკეთებისას სხეულზე ჟღალი ფერი აღიზიანებს. გახსოვდეთ, იოდის ბადე კეთდება ღამე, ძილის წინ, ხოლო თუ მის გაკეთებას დღისით აპირებთ, მოერიდეთ ქუჩაში გასვლასა და ორპირ ქარს.

გაითვალისწინეთ, ადამიანს, რომელსაც იოდი ნორმაში აქვს, იოდის ბადე მეორე დღემდე არ უნდა გაუქრეს.

იოდის ბადე ფეხმძიმე ქალების დამხმარეც შეიძლება გახდეს, გაციების დროს, როცა წამლების მიღებაში შეზღუდული ხართ ან იგივე იოდის დეფიციტის აღსადგენად. თუმცა, ფეხმძიმემ იოდის გამოყენებამდე აუცილებლად უნდა გაიაროს კონსულტაცია ჭრილობების დასამუშავებლად.

## რატომ უნდა დავლიოთ ცხელი სოდიანი წყალი?

პროფესორი ნეუმივაკინი ამტკიცებს, რომ ბევრი დაავადების ძირითად მიზეზს მჟავა-ტუტოვანი ბალანსის დარღვევა წარმოადგენს. ეს ერთადერთი მაჩვენებელია, რომელიც არ უნდა შეიცვალოს მთელი ცხოვრების მანძილზე. ადამიანის ორგანიზმი თვითრეგულირებადი დამოუკიდებელი სისტემაა, რომლის მჟავა-ტუტოვანი ბალანსი 7,4 უნდა იყოს. თუ აღნიშნული ბალანსი 0-დან 14-მდე ფასდება, ამ შემთხვევაში 7, როგორც პროფესორი ნეუმივაკინი აღნიშნავს, "ნორმალური შუალედია".

სოდიანი წყლის დალევა ორგანიზმის გატუტოვანების ყველაზე ცნობილი ხალხური საშუალებაა. ეს ნამდვილად ძალიან მარტივი და ეფექტური სასმელია ორგანიზმში მომატებული მჟავიანობის შესამცირებლად. თუმცა, ადამიანები, რომლებიც ორგანიზმის გაჯანსაღების ამ სისტემით არიან დაინტერესებულნი, ყურადღებას არ აქცევენ ერთ ნიუანსს _ მნიშვნელოვანია ისეთი სოდა მიიღოთ, რომელიც უშუალოდ ცხელ წყალშია გახსნილი. ამის ნაცვლად, სვამენ ცივ სოდიან წყალს (ან ოთახის ტემპერატურის _ აქ დიდი განსხვავება არ არის), და შედეგად ასეთი სასმელისგან პრობლემა ექმნებათ კუჭთან დაკავშირებით. რადგანაც ზუსტად კუჭისთვის, სოდა საეჭვო პროდუქტს წარმოადგენს, ამიტომ აუცილებელია, ეს სასმელი სწორედ მივიღოთ _ 40 გრადუსზე ზემოთ.

...შემდეგი საკვანძო მომენტი წარმოადგენს ის, თუ რა გზით ხვდება ორგანიზმში წყალი და შემდეგ მარაგდება სისხლი, უჯრედთაშორისი სითხე, ლიმფა და ა. შ. ერთი შეხედვით ეს კუჭიდან ხდება, რადგან წყალი მიღების შემდეგ იქ ხვდება. თუმცა, სინამდვილეში ეს ასე არ არის. ბიოლოგებმა, ბიოქიმიკოსებმა, მედიკოსებმა ეს, რა თქმა უნდა, იციან, მაგრამ ამ ინფორმაციას ფართო მასებამდე არ მიუღწევია. ეს კი ისე უნდა ვიცოდეთ, როგორც გამრავლების ტაბულა ან მშობლიური ენის ანბანი... აღმოჩნდა, რომ ძირითადი ადგილი, საიდანაც სისხლს წყალი მიეწოდება _ ნაწლავებია და არა კუჭი!



# პოეზია

***

სიხალისე ვარამს შეჰხვდა, _ ლხენით წაეტრაბახა...
სივარამე დინჯად აჰყვა, _ "ზეწვის ხიდი" ანახა,
...ხარხარებდა სიხალისე, იფერებდა "საწადელს",
სივარამე "ზმორვა-ზმორვით" უძაბავდა განსაცდელს...
არ იშლიდა სიხალისე, _ ჰხარობდა-და ლხინობდა,
თუმსც, ვვარამის გავლენიდან ვერაფრით-ვვერ ჰგმინობდა...
დადიოდა სივარამე რქებგრეხილა ყოჩივით,
ხალისი-და სიხარული, _ მუდამ ბრიყვად _ ნორჩივით.

***

...ძნელადმ-თუ _ იოლმ ღმერთი განგვეჰკარგავს,
ჰყოფითსა-ამას მმცვალ-მშო-ჰბადობას...
თუ არრას ჰპოვებს, არც-არრას ჰკარგავს,
...ორომტრიალით... მმოღმ-მყოფადობას.
ვერ-რა-რრას ჰშეიქმს ადამმეანნი, ზეშთაგონებით ძალმომრეობას
რრადან მმიწა-მმე?! _ მერქვა სახელი?!..
ამასოფელს-მჰხილვვ... უთავ-ბოლობას...
განგებით ჰშთაქმნილ მზით ჰხატულ წრესზედ
კვალობას ვვარჩევთ ბნელს, მჰხილვადობას;
ადამის მოდგმა ჭირთამსც არს მმვრცელი
აქამსც-ცათამსცა, ცრუწარმატობას.
...ვაგლახ, სიბეცევ...

*ანზორ ზმანება*

### მომაპყრენ ყურნი!

"ყოველივე შესაძლებელ არს ღვთისა მიერ".

*მარკოზ*

"ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო".

*მ. ლებანიძე*

ოდეს დიდი თუ ყოფილა,
თუ ყოფილა დიდი ოდეს:
ღმერთმან ქმნას და ეს სამყარო
მთლიან **გასაქართველოვდეს!**

*ვალერიანე თევზაძე*

## ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის გაწმენდა-ტიუბაჟი

ეს პროცედურა დილით უნდა ჩაიტაროთ. უზმოზე დალიეთ 0.5-1 ჩაის ჭიქა თბილის წყალი, ნაღველმდენი ბალახების ნაკრები ან უგაზო მინერალური წყალი, ნახევარ საათში კი მიაყოლეთ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე საშუალება:

ნახევარი ჭიქა ძალიან თბილ (მაგრამ არა ცხელ) წყალში გახსნილი 1 სადილის კოვზი თაფლი;

1 ჩაის ჭიქა ყურძნის ან ტკბილი ვაშლი შემთბარი წვენი;

3 სადილის კოვზი ბოლოკის (უმჯობესია, შავის) წვენი და 1 ჩაის კოვზი მზესუმზირიას ან ზეითუნის ზეთი;

3-5 სადილის კოვზი მცენარეული (უმჯობესია, ზეითუნის ზეთი).

"საუზმე" 1 ჩაის ჭიქა ტკბილი ჩაით ან ნაღველმდენი ბალახების ნახარშით დაასრულეთ. შემდეგ დაწექით მარცხენა გვერდზე, მარჯვენაზე, ღვიძლთან, თბილი სათბური დაიდეთ, სითბოს შესანარჩუნებლად საბანი ან ორად მოკეცილი ხაოიანი პირსახოცი გადაიფარეთ და ასე იწექით 1-1.5 საათს. შემდეგ წამოდექით, რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქეთ და ჩაიბუქნეთ. პროცედურა დამთავრებულია, შეგიძლია ისაუზმოთ. ტიუბაჟი კვირაში ერთხელ ან ორჯერ ჩაიტარეთ. სრული კურსი 10-15 პროცედურას მოიცავს. ნუ შეშინდებით, თუ პროცედურის შემდეგ ფეკალური მასები გაგითხელდებათ. ნურც ტკივილები შეგაშფოთებთ _ სუსტი ტკივილი და უსიამოვნო შეგრძნება მარჯვენა ფერდქვეშა არეში ნორმად არის მიჩნეული და იმის მაუწყებელია, რომ ნაღვლის ბუშტი ინტენსიურად იკუმშება და იცვლება, თუმცა ასეთ შემთხვევაში მეორე პროცედურის ჩატარებამდე ექიმს მაინც სთხოვეთ რჩევა და რამდენიმე სპაზმოლიზური საშუალება მიიღეთ.



გაითვალისწინეთ! ნაღველკენჭოვანი დაავადების დროს ნაღვლის ბუშტის ასეთი ხერხით გაწმენდა საშიშია _ ნაღვლის გაძლიერებული დენისას შესაძლოა კენჭი დაიძრას და სადინარში ჩაიჭედოს, რაც მხოლოდ ტკივილს კი არ გააძლიერებს, სხვა უსიამოვნებებსაც შეგიქმნით. ასე რომ, ტიუბაჟის კურსის დაწყებამდე აუცილებლად ჩაიტარეთ ულტრაბგერითი გამოკვლევა და კონსულტაციისთვის სპეციალისტს მიმართეთ.

# სპორტი



## დაჯილდოვება



სამტრედიაში, როგორც მთელ საქართველოში, პატივს სცემენ და უყვართ ფეხბურთი.

ფეხბურთისადმი სიყვარულით ბავშვობიდან იზრდებიან ახალგაზრდები. ერთი კვირის მანძილზე კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ვანო კილტავა) შიდასასკოლო პირველობა მიმდინარეობდა ფეხბურთში სამ ასაკობრივ ჯგუფში, რომელმაც ერთობ საინტერესოდ ჩაიარა.

29 ივნისს კი პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული ნორჩი სპორტსმენები, აგრეთვე, სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულნი სპორტული სკოლის ხელმძღვანელების მიერ თასებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

_ ფეხბურთს 8 წლიდან ვთამაშობ, ამჟამად 13 წლისა ვარ, 2002 წელს დაბადებულ ჭაბუკებში ვთამაშობ. გუნდის კაპიტანი ვარ, ბატონი ნოდარ ჩიგოგიძეა ჩვენი მწვრთნელ-მასწავლებელი. ბოლომდე იხარჯება იგი ჩვენთვის. _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" გუნდის კაპიტანმა თორნიკე მეფარიშვილმა.

წარმატებებს ვუსურვებთ ნორჩ სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს.

**ლევან გაბეჩავა**

## გიორგი მელია _ ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორია

2016 წლის 20-22 ივნისის რუმინეთის დედაქალაქი ბუქარესტი მასპინძლობდა ევროპის ჩემპიონატს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. ამ შეჯიბრში ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბ "ფალავანის" (ხელმძღვანელი ირაკლი მელაშვილი) ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრი, გიორგი მელია (96 კილოგრამ წონით კატეგორია) ასპარეზობდა. გიორგიმ ამ მეტად მნიშვნელოვან ჩემპიონატზე მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. სპორტსმენმა სულ 5 შეხვედრა გამართა, მათ შორის, 4 დამაჯერებლად მოიგო, სადაც უკრაინელი, ბერძენი, ბულგარელი და გერმანელი მოჭიდავეები დაამარცხა. იგი მხოლოდ ფინალურ შეხვედრაში დამარცხდა.



გიორგი აფხაზეთიდან დევნილია, მას 12 წელია, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა სამტრედიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, გია ვახტანგაძე წვრთნის. "სამტრედიის მაცნე" თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა სამტრედიის ნაკრების მწვრთნელსა და საჭიდაო კლუბ "ფალავანის" მთავარ სპეციალისტს, ვეფხია სტურუას დაუკავშირდა და კომენტარი სთხოვა:

"პირველ რიგში, მინდა, ეს გამარჯვება მივულოცო გიორგის და მის მშობელს და აქვე გულისტკივილით აღვნიშნო, რომ გიორგის ამ დიდ წარმატებას ვერ მოესწრო მისი მამა, ბატონი რამაზი, რომელიც ყოველთვის ერთგულად გულშემატკივრობდა შვილს. ასევე მინდა მის მწვრთნელს, ბატონ გიას განსაკუთრებულად მივულოცო, მისი უდიდესი წვლილია ყველა იმ გამარჯვებაში, რომელიც სპორტსმენ გიორგი მელიას არაერთ პრესტიჟულ ტურნირზე მოუპოვებია. ვუსურვებ როგორც სპორტსმენს, ისე მის მწვრთნელს არაერთხელ გავეხარებინოთ ჭიდაობის გულშემატკივრები".



ასევე კომენტარი ვთხოვეთ გია ვახტანგაძეს:

"გიორგი 2004 წლიდან ჩემთან ვარჯიშობს, ის გამოირჩევა შრომისმოყვარეობით და არის ძალიან მიზანმიმართული, აქვს სპორსტმენისთვის აუცილებელი ნებისყოფის დიდი უნარი, მას არაერთგზის გავუხარებივართ მოპოვებული წარმატებით. 2016 წელი გიორგიმ წარმატებებით დაიწყო: გახდა საქართველოს ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. ავსტრიაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე I ადგილი, ლატვიაში ფრეიდენფელდსის თასზე I ადგილი, ხოლო აზერბაიჯანის თასზე I ადგილი მოიპოვა. გიორგის წინ მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც საფრანგეთში (30 აგვისტოდან _ 4 სექტემბრის ჩათვლით) გაიმართება. ვუსურვებ, კვლავ გაემარჯვოს და გაეხარებინოს ჩვენი მუნიციპალიტეტი.

**ნათია ნაცვლიშვილი**

## მადლობა მწვრთნელებს, ფეხბურთელებს

ჩვენგან ყურადღება არასოდეს მოგაკლდებათ! _ მიმართა ჭაბუკთა ლიგიდან წარმატებით დაბრუნებულ სამტრედიის "სამტრედიას" ფეხბურთელებს, მათ მწვრთნელებს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერიანე ფოცხვერიამ და წარმატება მიულოცა მათ.

გუნდში, რომლის მწვრთნელები ბატონები ევგენი დოლიძე და კობა მიქაძე არიან, (გუნდის კაპიტანი ბექა ჭოხონელიძე) 2000-2001 წლებში დაბადებული ჭაბუკები თამაშობენ. 33 შეხვედრიდან მათ მხოლოდ სამი თამაში წააგეს.



პლეიოფიდან კენჭისყრის შედეგად თბილისის "დინამოს" შეხვდნენ და დამარცხდნენ.

საბოლოოდ სამტრედიის "სამტრედიამ" იმერეთის მასშტაბით პირველი, საქართველოს მასშტაბით კი მესამე ადგილი დაისაკუთრა და შესაბამისი პრიზებით ხელდამშვენებული დაბრუნდა შინ.

მუნციპალიტეტის გამგებლის, გამგეობის განათლების, კულტურის სპორტის, ახალგაზრდობის სპორტისა და ტურიზმის საქმეთა სამსახურის უფროსის ნატალია მანჯგალაძის სტუმრობა, მათგან გულწრფელი მილოცვა ფეხბურთელებმა პატივად აღიქვეს და შეგვპირდნენ, რომ ლამაზი თამაშებით კვლავაც გაგვანებივრებენ.

ყურადღებისა და თანადგომისათვის მადლობა მუნიციპალიტეტის თავკაცებისადმი გუნდის მწვრთნელებმა ევგენი დოლიძემ და კობა მიქაძემაც გამოთქვეს.

გამგებელმა სიმბოლური გოლიც გაიტანა და წარმატების სურვილით დაემშვიდობა ფეხბურთელებს.

**ლევან გაბეჩავა**



## ჭადრაკი
## გიორგი ელაშვილის მორიგი წარმატება





საჭადრაკო ფესტივალს "მაია ჩიბურდანიძის თასი 2016" 13-19 ივნისს ქუთაისმა უმასპინძლა.

ფესტივალის ინიციატორები იყვნენ საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია, იმერეთის ჭადრაკის ფედერაცია და მაია ჩიბურდანიძის სახელობის ქუთაისის საჭადრაკო სკოლა.

ფესტივალში სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის (დირექტორი ვანო კილტავა) აღსაზრდელმა გიორგი ელაშვილმა ახალ წარმატებას მიაღწია, კერძოდ, იგი ფესტივალში მესამე ტურიდან ჩაერთო, მამაკაცთა შორის მესამე ადგილზე გავიდა და ფესტივლის ორგანიზატორთა მიერ შესაბამისი ჯილდოს მფლობელიც გახდა.

გიორგი ჯერ 14 წლისაა, იგი ღია ტურნირებში თამაშობდა დიდებში.

წარმატებებს ვუსურვებთ გიორგის, მის მწვრთნელს ნინო ჯვარშეიშვილს მომავალ ასპარეზობებში.

**ლევან გაბეჩავა**



## როგორ დავიცვათ თავი სიცხისგან

უკვე ძალიან ცხელა, ყველას უჭირს ამ სიცხეში გაძლება. მზე ამ პერიოდში ძალიან აქტიურია და შუადღისას თითქმის შეუძლებელია გარეთ გასვლა რადგან ტემპერატურა 30 გრადუსს სცდება.

შეეცადეთ, რაც შეიძლება, მეტი დრო გაატაროთ ჩრდილში. ეს დაგეხმარებათ, რომ აირიდოთ "მზის დარტყმა" ანუ ციებცხელება. შეეცადეთ, შიშველი თვალით არ გახვიდეთ გარეთ. დაგეხმარებათ ყველაფერი, იქნება ეს უბრალოდ ქუდი თუ კეპი. თუ ახალგაზრდა ხარბ და თანამედროვე სტილს მისდევ, გამოგადგება ბენდენაც კი. არავითარ შემთხვევაში არ ატარო შავი ტანსაცმელი და ნივთები. ისინი ძალიან ატარებენ სიცხეს. უკეთესია თეთრებით იარო. ეს ფერი ყველაზე მეტად უშლის ხელს სიცხის გატარებას, გაიხსენეთ არაბეთში და ცხელ ქვეყნებში უპირატესობას რომელ ფერს ანიჭებენ.

არა და არ დალიოთ ისეთი სასმელები როგორიცაა PEPSI, Cola, Sprite და ასე შემდეგ. ისინი ზიანის მეტს არაფერს მოგაყენებენ. წყალი დალიეთ მშვიდად. ექიმები გვირჩევენ დავლიოთ მანამდე სანამ მოგვწყურდება, ამიტომ ატარეთ ბოთლი წყლით. არ დალიოთ სასმელები რომლებიც შეიცავენ კოფეინს. წყალი შეიძლება ჩაანაცვლოს ხილმა და ბოსტნეულმა. მაგალითად, მიირთვით კიტრი და თქვენ იგრძნობთ, რომ წყურვილის სურვილი დაიკლებს. ასევე გოგრა (კვახი) შეიძლება იყოს თქვენი დამხმარე. მისი ყიდვა ყველა მაღაზიასა და ქუჩის კუთხეში შეიძლება. ასე, რომ, იცოდეთ ცხელი სასმელების მიღება უფრო მოგიკლავთ სიცხეში წყურვილის გრძნობას ვიდრე ცივის სმა.

მიიღეთ ცივი შხაპი და იაბანავეთ სულ ცივი წყლით, არ დაკავდეთ სპორტით დაღლამდე, არ იაროთ აბანოში. ყოველ ნახევარ საათში ერთხელ მცირე შესვენებები გააკეთეთ სამსახურში. თუ გაქვთ საშუალება წამოწექით რბილ, გრილ საწოლზე და დახუჭეთ თვალები.

უარი თქვით ცხელ საჭმელზე. მოერიდეთ ტკბილეულობებს, ნამცხვრებსა და ტორტებს. დალიეთ დღეში მინიმუმ 1 ;ლიტრი წყალი და საერთოდ უარი თქვით ალკოჰოლზე.

**rogor.ge**

## როგორ წავიკითხოთ ხელისგულზე ხაზები?

1. კეთილდღეობა და შეიძლება მთელი ცხოვრების მანძილზე (ორმაგი სიცოცხლის ხაზი).
2. აბსოლუტური ბედნიერება (სწორი ბედის ხაზი).
3. გადაჭარბებულობა სიყვარულში და სიკეთეში (ტოტები გულის ხაზის დასაწყისში და ბოლოში).
4. გეყოლებათ ერთგული მეგობარი მთელი ცხოვრების მანძილზე (საჩვენებელი თითის ქვეშ ჯვარი).
5. ენერგიის დიდი რეზერვი (ვენერას რგოლი, მდებარეობს საჩვენებელ თითსა და ნეკას შორის).
6. გენიოსი (გონების ხაზზე ჩანგალი, რომლის ხელისგულის მხარემდე ჩადის).
7. წარმატებები ხელოვნებაში სახელგანთქმული (აპოლონის ხაზი მიდის ვეტიკალურად აპოლონის ბორცვამდე, გაივლის სიცოცხლის ხაზთან ახლოს).
8. გამჭრიახობა საქმეებში, სიყვარული და ბედნიერება (ვენერას რგოლის შეერთება მერკურის ბორცვთან).
9. კარგი ტემპერამენტი (გენეტიკური ხაზის არსებობა, რომელიც ყველას არ აქვს).
10. სამმაგი მასიური სამაჯური მაჯაზე ხანგრძლივ ცხოვრებას გპირდებათ.
11. ერთადერთი, ვნებიანი და ღრმა სიყვარული (ჯვარი ვენერას ბორცვზე).




## ლაქების ამოყვანის რამდენიმე მეთოდი

**ლაქები მუდმივად ქმნის პრობლემებს რეცხვის დროს. ამიტომ მნიშვნელოვანია მათი რეცხვამდე ამოყვანა. გთავაზობთ ლაქების ამოყვანის სხვადასხვა მეთოდს!**

**ყავა, ჩაი** _ გადაჭიმეთ დალაქავებული ადგილი და ზემოდან, რაც შეიძლება სიმაღლიდან, დაასხით მდუღარე წყალი. გარდა ამისა, შეგიძლიათ გამოიყენოთ 1 ლიტრი წყლისა და 1 სუფრის კოვზი სპირტის ნარევი. შემდეგ ის უნდა გაავლოთ წყალში.

**ლუდი** _ წინასწარ გაავლეთ ქსოვილი თბილ წყალში ან ერთი სუფრის კოვზი სპირტისა და 0,5 ლიტრი წყლის ნარევში.

**შოკოლადი** _ ახალი ლაქა ჯერ უნდა გაავლოთ წყალში. შემშრალი კი გარეცხეთ 10 გრამ ბორის საპნისა და 1 ლიტრი წყლის ნარევში.

**წვენი, ხილი** _ თეთრი ქსოვილისათვის გამოიყენეთ მათეთრებელი, ფერადი ქსოვილისათვის ლიმონის მჟავა ან ლიმონის წვენი მარილით.

**ნაყინი** _ ახალი ლაქა უნდა გაავლოთ ცივ წყალში. უკვე შემშრალი ლაქა უნდა გაირეცხოს 10 გრამ ბორის საპნისა და 1 ლიტრი წყლის ხსნარში.



**ლიქიორი** _ უნდა გაიწმინდოს ამონიუმის სპირტით.

**პომიდვრის წვენი** _ ახალი ლაქა უნდა გაირეცხოს თბილ წყალში ამონიუმის სპირტთან ერთად. შემშრალი ლაქა უნდა გაიწმინდოს წყალბადის პეროქსიდში ან ამონიუმის სპირტში დასველებული ტამპონით.

**ჟანგი** _ აბრეშუმზე ან შალზე უნდა გაიწმინდოს ამონიუმის სპირტისა და წყლის ნარევით. კოტონზე გამორეცხეთ თბილი ლიმონის წვენით.

**სისხლი** _ გამორეცხეთ ცივი წყლით ან თბილი წყლით და ღვინის მჟავით.

**ოფლი** _ გაწმინდეთ ამონიუმიან წყალში დასველებული ტამპონით, გაავლეთ დისტილირებულ წყალში.

**იოდი** _ გაწმინდეთ ამონიუმის სპირტში დასველებული ტამპონით.

**ზეთოვანი საღებავი** _ მოათავსეთ ლაქიანი ქსოვილის ქვეშ მშრალი ქსოვილი და გაწმინდეთ ეთერზეთიანი ტამპონით. გამშრალი ლაქა უნდა დაარბილოთ ზეთით და შემდეგ გარეცხოთ.

**მელანი** _ გაწმინდეთ ლაქა სპირტიანი ტამპონით და შემდეგ გარეცხეთ.

**ცვილი** _ ფრთხილად მოაშორეთ ცვილის ნარჩენები ქსოვილს ბლაგვი დანით და შემდეგ გააუთოვეთ ქსოვილი, რომელიც უნდა მოთავსდეს შემწოვი ფურცლის ფენაში. შემდეგ შეგიძლიათ გარეცხოთ.

**წითელი ღვინო _ კოტონზე** _ მოაყარეთ ლაქას მარილი და გარეცხეთ მოგვიანებით.

**აბრეშუმზე** _ დაარბილეთ ლაქა რძით. შემდეგ გარეცხეთ თბილ წყალში და გაავლეთ სათანადოდ.

**საღეჭი რეზინა** _ დაადევით ლაქას ყინული. შემდეგ მოაცილეთ გამაგრებული რეზინის ნარჩენები. მოათავსეთ ლაქიანი ადგილი ფურცელზე და შიდა მხრიდან გაწმინდეთ სპირტიანი, აცეტონიანი ან ბენზინიანი ბამბით. შემდეგ გარეცხეთ.

**ცხიმი, კარაქი, მარგარინი** _ მოათავსეთ დალაქავებული ადგილი ფურცელზე და შიდა მხრიდან გაწმინდეთ ბენზინიანი ან სპირტიანი ბამბით. გააშრეთ. შემდეგ დაასველეთ და გარეცხეთ.

## გაიგე შენი ხასიათი წარბების მიხედვით

ხშირად ადამიანის წარბების ფორმა მის ხასიათზე მეტყველებს. ფორმა განსაზღვრავს განსხვავებული პიროვნებების თვისებებს, აზროვნების სტილს.

*რკალისებრი წარბი:*

სილამაზეზე მეტყველებს. რკალისებრი წარბის მქონე ადამიანის ცხოვრება დატვირთულია კარგი, პოზიტიური მომენტებით. ის სხვებთან ჰარმონიულ ურთიერთობების დამყარების უნარზე მიგვანიშნებს.

*ზევით აწეული წარბები:*

პოზიტიურობაზე, ოპტიმიზმზე მეტყველებს. ხშირად ასეთი წარბები აქტიური ცხოვრების ადამიანებს აქვთ. ისინი გამოირჩევიან ორგანიზატორული უნარითა და მოხერხებულობით.



*ქვემოთ ჩამოწეული წარბები:*

ასეთი წარბები მიმზიდველობის ნიშანია. თუმცა შესაძლებელია ისინი სხვებისთვის პიროვნების სისუსტის მაჩვენებელი გახდეს.

*მოკლე წარბები:*

იძლევა ახალგაზრდობის შეხედულებას... იგი პიროვნების დამოუკიდებლობის და ამბიცურობის მაჩვენებელია.

*სწორი წარბები:*

წარმატებული ქალის/მამაკაცის მახასიათებელია. ასეთ პიროვნებას იტაცებს სპორტი და ასევე გართობა. ის არის ლოგიკურად მოაზროვნე. მისი დარწმუნება შესაძლებელია მხოლოდ ლოგიკით და მტკიცებულებებით.

*კუთხოვანი წარბები:*

ასახავს დრამატულ პიროვნებას... შემოქმედებითობას, ის არის ბრწყინვალე ფინანსურ საკითხებში. პირი, რომელსაც აქვს ამობრუნებული "V" ფორმის წარბები, ყოველთვის ეძებს კონტროლს და ძალაუფლებას. ასეთი პიროვნებები ხშირად იბრძვიან მაღალი სტატუსის და თანამდებობის მოსაპოვებლად.

*მრგვალი წარბები:*

ბიზნესმენის ან თუნდაც მსახიობისთვისაა დამახასიათებელი. ის ძალიან მეგობრულია ბუნებით განსაკუთრებით კარგად ესმის მაგალითებით და მეტაფორებით საუბარი.

*თხელი წარბები:*

თხელი წარბები მიანიშნებს, რომ პიროვნება არის ძალიან მგრძნობიარე, განსაკუთრებით, თუ მას აქვს დახვეწილი სახის ნაკვთები, როგორიცაა პატარა თვალები, ცხვირი ან ტუჩები.

*გადაბმული წარბები:*

ასეთი წარბების მქონე პიროვნება უწყვეტად მოაზროვნეა. მას არ შეუძლია დასვენება, ყოველთვის ფიქრობს და აფასებს მის გარშემო არსებულ სიტუაციას. ასეთ პიროვნებას შესაძლოა ჰქონდეს უძილობის პრობლემები, როდესაც ახლოვდება მნიშვნელოვანი მომენტი მის ცხოვრებაში.

## სენსაციური აღმოჩენა

საქართველოს განძის დაცვის პოლიციამ, ქუთაისთან ახლოს, დიდი რაოდენობით ძველქართული მონეტები აღმოაჩინა. წინასწარი მონაცემებით, მონეტების საერთო ღირებულება, შესაძლოა, ათეულ მილიონობით ლარს აღწევდეს. ნაპოვნი განძეული კი, სავარუდოდ, ქართული ისტორიული მემკვიდრეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს აღმოჩენად იქცევა. გავრცელებული ინფორმაციით განძი ქუთაისის ახლოს, მდინარე საჰერცხლიას ხეობაში იპოვეს.

დამატებითი ინფორმაცია, თუ რა რაოდენობისაა აღმოჩენილი მონეტები, რომელი საუკუნით თარიღდება, ან რა მასალისგანაა დამზადებული, ჯერჯერობით არ ვრცელდება. ამასთან, როგორც განძის დაცვის პოლიციის პრესსამსახური აცხადებს, იმის გამო, რომ არსებობს ხალხის დიდი ნაკადის თავმოყრის და თვითნებური არქეოლოგიური გათხრების დაწყების საფრთხე, არ სახელდება ნაპოვნის ზუსტი ადგილმდებარეობა. ჩვენი ინფორმაციით, აღმოჩენილ მონეტებს უტარდება ექსპერტიზა და შესაბამისი უწყებები რამდენიმე დღეში სპეციალურ განცხადებას გააკეთებენ.



## მისტიკური ტყე ბელგიაში

გინდ დაიჯერეთ და გინდ არა, მაგრამ ეს მისტიკური, ზღაპრული ტყე "ჰელერბოს" (Hallerbos) ნამდვილად არსებობს და ის ბელგიაში მდებარეობს.

მიზეზი, რის გამოც ტყე ზღაპრის სიუჟეტიდან გადმოტანილს ჰგავს, მაჩიტების სქელი ხალიჩაა. ეს ყვავილები გაზაფხულზე და ადრიან ზაფხულში ყვავის და ცისფერი და მოიისფრო შეფერილობის წყალობით მთელ მიდამოს ჯადოსნურ ელფერს ანიჭებს.



ამ პერიოდში ჰელერბოსს უამრავი ტურისტი და ფოტოგრაფი სტუმრობს. ნისლიანი დღეები, რაც ამ ტერიტორიაზე საკმაოდ ხშირია, განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის ფოტოების გადასაღებად – ნისლი ყვავილებით მოფენილ ტყეს იდუმალებას მატებს.

მაჩიტების სქელი ხალიჩა მოწმობს, რომ ჰელერბოსი უძველესი ტყეა. ეს არ ნიშნავს, რომ ტყეში ძალიან ასაკოვანი ხეები დგას, უბრალოდ, ჰელერბოსი საუკუნეების განმავლობაში, სულ მცირე 300-400 წელიწადი ტყის მასივი იყო.

წყარო: Friday.ge

**მაგლო ნიკურაძეს!**

მაგლო ბებია გილოცავ 86 წლის შესრულებას. გისურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და ღვთის წყალობას. შენი ფუსფუსი არასოდეს მოშლილიყოს ჩვენს ოჯახში.

შენი ზიკო

## ნათია იობაძესა და ლევან დვალიშვილს!



ჩვენო ძვირფასებო, გულითადად გილოცავთ ვაჟიშვილის, პატარა დემეტრეს ამქვეყნად მოვლენას. გაზრდილიყოს ჯანმრთელი, სასახელო ვაჟკაცი, ისეთი თქვენთან ერთად მისი დედიკოს და მამიკოს მეგობრებიც რომ იამაყებენ, ია-ვარდით მოფენილი ყოფილიყოს მისი სავალი გზა.

"სამტრედიის მაცნე"

## ფოტო განწყობისთვის



გეგა და გუგა თარგამაძეები

# ვულოცავთ!



**მამა შიოს (ჭაფოძე)!**

გილოცავთ დაბადებიდან 50 წლის იუბილეს. გისურვებთ წელთა სიმრავლეს, ჯანმრთელობას და ღვთის წყალობას.

მადლი გიმრავლოთ უფალმა!

პატივისცემით მრევლი

**ჩვენო შოთიკო!**



დაბადების დღეს გილოცავთ!

სულ პატარამ შემოაღე ჩვენი რედაქციის კარი, მერე ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველაზე უმცროსი შტატიანი თანამშრომელი გახდი. უკვე სტაჟიანზე უამრავი კარგის თქმა შეგვიძლია. ცხოვრების ულამაზესი ხანა გიდგას, როგორც გალაკტიონი იტყოდა – "დაუცხრომელი სურვილი ლომის".

გვჯერა, მალე "სამტრედიის მაცნეს" ყველა თანამშრომელი ჩვენი უმცროსი კოლეგის სტუდენტობით ვიამაყებთ. გვწამს შენი ელვარე ნიჭის, ტალანტის, მონდომებისა და ძალისხმევის.

მზით გასხივოსნებულ სავალ ბილიკებს გისურვებთ, ყველა ცხოვრებისეული დაბრკოლება სიმშვიდით, რწმენითა და ბიბლიური მოთმინებით გადაგელახოს. შენს ნიჭს ქვეყნის მასშტაბით გაებრწყინოს!

"სამტრედიის მაცნე"



**ირაკლი კიკვაძეს!**

ჩვენო ირაკლი, უკვე დიდი ბიჭი ხარ, ხუმრობაა 5 წლის შესრულდი, მრავალჯერ გვსმენია შენი ნიჭიერების შესახებ.

წინაპართა გენები ცოცხლობენ შენში. ქართული ლექსიც გიყვარს და "ჯარისკაცის ფარაჯაც" შესანიშნავად მოირგე, სხვაგვარად შეუძლებელიცაა, ჩვენი სამშობლო შენ, შენმა თაობამ უნდა აალორძინოს, დაიცვას. თქვენ უნდა გაუფრთხილდეთ საქართველოს წარსულს, აწმყოს, სჭედოთ მისი ნათელი მომავალი.

ისეთი ბიჭი გაიზარდე, შენს ოჯახს, ახლობლებს, კეთილმსურველთ რომ გაუხარდება.

შენით გვეამაყოს ჩვენ და საქართველოს!

უფალი გფარავდეს!

"სამტრედიის მაცნე"

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა